საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვეული სიფცეკვაა, ფცეილებით და ჭიბებით ბეჭ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 20 თებერვალი. 2020 წ. №31 (8957) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

უგულავამ „იგულავა“?!..

5

გვამები ჩქარა!

საქართველოს სახელი ირყევა: ვინ იღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის დაცვაზე?

3

ცხინვალში მალაზიები ცარიელდება

4

კახეთის რკინიგზა ეკონომიკურად წამგებიანი იქნებაო!

ოპოზიციამ საქართველო ჩაუშვა...

8

ნატო – იქა, ქატო – აქა!

უსაფრთხოების ეროვნულ საბჭოს ვახტანგ გომელაური უხელმძღვანელებს

საქართველოს უსაფრთხოების ეროვნულ საბჭოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური უხელმძღვანელებს. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

„მინდა, მოგახსენოთ სიახლე. მოგეხსენებათ, უშიშროების საბჭო არის უაღრესად მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც ეფექტურად უნდა მუშაობდეს და ფუნქციონირებდეს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ უშიშროების საბჭოს ახალ მდივანს. ეს გახლავთ შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური“ , – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ლაშა ტალახაძე – შევეცდები, მოსკოვში, ევროპის ჩემპიონატზე, საქართველოს ჰიმნი ავაჟღეროთ!

ქართველი სპორტსმენების მთავარი მიზანი არის გამარჯვება და ვიბრძვით, რომ ქვეყანას გავუთქვათ სახელი, – ამის შესახებ ძალოსნობაში მსოფლიო ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ლაშა ტალახაძემ საქართველოს პირველ არხს განუცხადა.

მსოფლიო ჩემპიონი გამოეხმაურა ბოლო პერიოდში ქართველი სპორტსმენების, მათ შორის ქართველი მორაგბეების მიმართ პოლიტიკურ და შეურაცხმყოფელ განცხადებებს. ერთ-ერთი ასეთი განცხადება „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ გააკეთა. ლაშა ტალახაძის თქმით, შეეცდება მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებას. ლაშა ტალახაძე ასევე წარმატებებს უსურვებს ქართველ მორაგბეებს, რომელთაც მომდევნო მატჩები ბელგიასა და რუსეთის ნაკრებებთან აქვთ დაგეგმილი.

„მინდა, წარმატებები ვუსურვო ქართველ მორაგბეებს, რომლებსაც თამაში აქვთ ბელგიასთან და შემდეგ რუსეთის ნაკრებთან. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი მოიპოგებენ გამარჯვებას. ასევე, წელს ჩვენც ევროპის ჩემპიონატი გვაქვს მოსკოვში, სადაც მივიღებთ მონაწილეობას. შევეცდები, რომ საქართველოს ჰიმნი ავაჟღერო მოსკოვში და, ალბათ, ეს იქნება ჩემი ყველაზე დიდი პასუხი ყველა იმ ადამიანისადმი, ვისაც ეჭვი ეპარება ჩვენს პატრიოტიზმში. წარმატებები ქართველ მორაგბეებს. აუცილებლად გავიმარჯვებთ“, – განაცხადა ლაშა ტალახაძემ.



იმედით სავსე კაცი

7

რევაზ ძნელაძე-70

გიორგი შენგელაია

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი შენგელაია.

საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს დიდი ხელოვანისა და მამულიშვილის გიორგი შენგელაიას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს.

პრემიერ-მინისტრი პარიზის აეროპორტების გაერთიანების პრეზიდენტს შეხვდა



გვსურს, საქართველოს მთავრობასთან ერთად შევიმუშაოთ ავიაკომპანიების მოზიდვის სქემა, რათა შეიქმნას ახალი მარშრუტები და საქართველო მოგზაურთა დანიშნულების ქვეყნად იქცეს, — ამის შესახებ პარიზის აეროპორტების გაერთიანების პრეზიდენტმა აუგუსტინ დე რომანემ საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საერთაშორისო ფრენებისა და აეროპორტების ბიზნესის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის, მათ შორის, ევროკავშირთან როგორც პირდაპირი კავშირების უზრუნველყოფის, ისე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად განვითარებისთვის.

აუგუსტინ დე რომანეს თქმით, შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოში ტურიზმის განვითარების გზებსა და პარიზის აეროპორტების გაერთიანების კომპანიის მზაობას — ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას ამ მიმართულებით.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრთან განვიხილეთ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების გზები. საქართველოს ისტორია და ბუნება სრულიად შთამბეჭდავია, ტურისტები მთელი მსოფლიოდან უნდა მოვიზიდოთ“, — აღნიშნა აუგუსტინ დე რომანემ.

პარიზის აეროპორტების გაერთიანება, კომპანია TAV-ის ძირითადი აქციონერი, აქციების 46 პროცენტის მფლობელი კომპანიაა. პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე აგრეთვე საუბარი შეეხო TAV Georgia-სთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, აეროპორტის ოპერირების წესსა და იმ მოთხოვნებს, რომელიც საქართველოს მთავრობას აქვს ოპერატორის მიმართ — ტარიფების, ინფრასტრუქტურისა და პირდაპირი ფრენების ქსელის გაფართოების, აგრეთვე, ფრენების დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით.

საქართველოს დაცული ტერიტორიები მიმდინარე წელს 100 000 ჰექტარით გაიზრდება

„კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ დღეს მივიღებთ, ეს გახლავთ — დაცული ტერიტორიების გაფართოება. მოგეხსენებათ, 2019 წელს დაცული ტერიტორიების საერთო მოცულობა, დაახლოებით, 10%-ით გაიზარდა და დღეს ის შეადგენს საქართველოს ტერიტორიის 9.6 %-ს, თუმცა ეს არ არის მაქსიმალური მაჩვენებელი და სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო 2020 წელს გეგმავს 100 000 ჰექტარით კიდევ გაზარდოს დაცული ტერიტორიების რაოდენობა“, — ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

მისივე თქმით, მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნება ურუშეთის ეროვნული პარკი, რომელიც სასაზღვრო ზონაშია და ეს იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი როგორც ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის, ისე წითელი წიგნის ნუსხის სახეობების შენარჩუნებისთვის.

„ამ გადაწყვეტილებით ჩვენ ვქმნით მნიშვნელოვან არეალს, საიმას, რომ ეს უნიკალური ტერიტორია, რომელიც ჩვენ საქართველოში გვაქვს, კიდევ უფრო ეფექტურად შეძლებს სახეობების შენარჩუნებას. კონკრეტულად, საუბარია დერეფნების შექმნისთვის კავკასიური ირმის, კეთილშობილი ირმის და არჩვისთვის მცირე კავკასიონის დასავლეთის ქედებისკენ კორიდორის შექმნაზე. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია წითელი წიგნის ნუსხის ცხოველების გადასარჩენად“, — აღნიშნა პრემიერმა.

დაც ხელს შევუწყობთ გარემოს დაცვას“, — აღნიშნა გიორგი გახარიამ. მთავრობის მეთაურმა დღესვე, მთავრობის სხდომაზე, ბორჯომი-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის 4 000 ჰექტარით გაფართოების შესახებ განაცხადა.

„ხდება ბორჯომი-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის გაფართოება 4 000 ჰექტარით, რაც ნიშნავს

სალომე ზურაბიშვილი: საქართველოს პარლამენტში საბჭოთა კავშირის ჰიმნის გაჟღერება კანონმდებლობის დარღვევაა

საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში საბჭოთა კავშირის ჰიმნის გაჟღერების შესახებ განცხადებას ავრცელებს. **„საქართველოს პარლამენტში საბჭოთა კავშირის ჰიმნის გაჟღერება ქართული სახელმწიფოს**

შეურაცხყოფა და კანონმდებლობის დარღვევაა. საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზში ჰიმნის გამოყენება მიუღებელია და სახელმწიფო ინსტიტუტის დისკრედიტაციაა. მოვუწოდებ საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს, პატივი სცეს პარლამენტის მიერვე მიღებულ კანონს — „თავისუფლების ქარტია“, რომლის მიზნებსაც ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ორგანოში პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლისას მომხდარი ფაქტი“, — ნათქვამია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

18 თებერვალს ოპოზიციამ არჩილ თალაკვაძეს ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა რამდენიმე წუთით, საბჭოთა კავშირის ჰიმნის გაჟღერებით შეაწყვეტინა.

პრეზიდენტმა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარსა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში ქართულწარწერიანი მედიკამენტების აკრძალვასთან დაკავშირებით წერილები გაუგზავნა და მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტი წერილებში აღნიშნავს, მედიკამენტების აკრძალვასა და მოხმარებიდან ამოღებას თან ერთვის ის ფაქტი, რომ ჩაკეტილია ახალგორის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტი, რაც პირდაპირ ჰუმანიტარული კრიზისის გამომწვევია. აღნიშნული ვითარების გამო, რთულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა და განსაკუთრებით კი, პენსიონერები, ის ადამიანები, რომლებსაც ქრონიკული დაავადებები აწუხებთ და მუდმივად მედიკამენტურ მკურნალობას საჭიროებენ.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ე.წ. გადასასვლელი პუნქტის ჩაკეტვითა და მედიკამენტების მოხმარების აკრძალვით იზღუდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, რომლებიც ჯანმრთელობის უფლებას, სიცოცხლის უფლებასა და გადაადგილების თავისუფლება ეხება.

ვანო მერაბიშვილმა საპატიმრო არ დატოვოსო...

პოლკოვნიკ გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილის გათავისუფლების წინააღმდეგ გამოდის. როგორც მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი მისი ძმის საქმეზე არ გასამართლებულა და ციხე არ უნდა დატოვოს.

ლია კრიალაშვილი გენერალურ პროკურორ ირაკლი შოთაძეს მიმართავს, გამოიძიოს საქმე, რომელიც უკვე შვიდი წელია, თაროზე დევს.

„ვანო არ გასამართლებულა თუნდაც ჩემი ძმის საქმის თაობაზე. კაცი, რომელიც 2 გვამს ითხოვდა, მიხეილ საакაშვილი ითხოვდა, რომ მიწიდან ამოიღეთ გია კრიალაშვილიო, ვანო მერაბიშვილი ციხიდან არ უნდა გამოვიდეს“, — აღნიშნა ლია კრიალაშვილმა.

მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და სამშენებლო კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებულ მოქალაქეებზე ისაუბრა.

დედაქალაქის მერის განცხადებით, „სვეტის“ მიერ დაწყებული მშენებლობები, რომელიც კომპანია M²-მა გადაიბარა, მარტის დასაწყისიდან გაგრძელდება. სამ მისამართზე: მირცხულავას, ნუცუბიძისა და ჭყონდიდელის ქუჩებზე სამშენებლო პროექტები უკვე შეთანხმებულია და მომდევნო კვირაში ნებართვებიც გაიცემა.

თბილისის მერმა მადლობა გადაუხადა სამშენებლო კომპანიების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც დედაქალაქის მასშტაბით, დაუმთავრებელი მშენებლობების გაგრძელების პროცესში არიან ჩართული.

„დედაქალაქში, დაახლოებით, 170-ზე მეტი დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობაა. ჩვენ ყველა მიმართულებით ვმუშაობთ. მინდა, სამშენებლო კომპანიებს მადლობა გადავუხადო. მათი ჩართულობის, მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა იმ პრობლემების მოგვარება, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ქალაქში არსებობს და გარკვეული ოჯახებისთვის სერიოზულ დისკომფორტს წარმოადგენს“.

კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე კომპანია „სითი პარკის“ მიერ გამოწერილი ჯარიმების ამნისტიის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება თბილისის ვიცე-მერს ირაკლი

ხმალაძეს დაავალა. მისი თქმით, „სითი პარკის“ მიერ მოქალაქეებისთვის ჯარიმების საერთო ოდენობა, დაახლოებით, 850 000 ლარს შეადგენს.

„ეს არის თავის დროზე კომპანია „სითი პარკის“ მიერ გამოწერილი ჯარიმები. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, ეს ჯარიმები მოქალაქეების უფლებებს ლახავდა და კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. მინდა, დავავალო ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს, რომ მოამზადოს საკანონმდებლო ინიციატივა და მოვახდინოთ აღნიშნული ჯარიმების ამნისტია. აქ იგულისხმება საჯარიმო სანქციებიც, რომელიც აღსრულების ბიუროსთვისაა გადაცემული და რომლის ფარგლებშიც, უკვე იძულებითი ღონისძიებების გატარება უწევს უწყებას. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ ინიციატივის წარდგენა პარლამენტისთვის და დარწმუნებული ვარ, საკანონმდებლო ორგანო დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერის განცხადებით, „სითი პარკთან“ დაწყებული დავა როგორც სასამართლოში, ისე არბიტრაჟის მიმართულებით, მოლაპარაკებით დასრულდა.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ საბურთალოსა და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებულ კორტების ყოფილ ტერიტორიაზე, რომელიც 2006 წელს გასხვისდა, სპორტული კომპლექსი მოეწყობა. კახა კალაძის თქმით, ადგილმონაცვლეობის შესახებ ინვესტორთან აქტიური მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და კორტების ყოფილი ტერიტორია მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა.

ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ საქართველოს ხელისუფლებისადმი მზარდი კრიტიკის ფონზე აღმოსავლეთ სამეზობლოს ასოციირებული ქვეყნები – საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ევროკავშირს მიმართავენ ერთობლივი თაოსნობით, კავშირის ბიუჯეტში ასოციირების შეთანხმებების მხარდაჭერა „სათანადოდ აისახოს“. როგორც ერთობლივ მიმართვაშია ნათქვამი, სამი ასოციირებული ქვეყნისთვის ასოციირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებით გათვალისწინებული. რთული ვალდებულებების ეფექტიანი შესრულებისთვის მნიშვნელოვანი იქნება დამატებითი ფინანსური მარაგი. თაოსნობის არსსა და პერსპექტივაზე, ასევე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, მათ გამო ევროპარლამენტში საქართველოს ხელისუფლებისადმი განწყობის ცვლასა და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის გზებზე „აქცენტი“ პოლიტოლოგ კორნელი კაკაჩიას ესაუბრა.

ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ?!..

კორნელი კაკაჩია: იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადად აღმოსავლეთ მეგობრობასთან მიმართებაში არასასურველი კონტექსტი ყალიბდება, ეს თაოსნობა მნიშვნელოვანია: მაკრონის ინიციატივის შემდეგ საფრანგეთმა დაბლოკა ბალკანეთის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრების გეგმა; საფრანგეთი და კიდევ რამდენიმე სახელმწიფო ცდილობენ, აღმოსავლეთ პარტნიორობას სტრატეგიული მიზანი დაუკარგონ. კერძოდ, საფრანგეთი ამბობს, რომ აღმოსავლეთ მეგობრობის თაოსნობით მიზანი არაა მომავალში ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრება, რომ მიზანია, დახმარება გაეწიოთ ამ ქვეყნებს, წამოსწიონ დემოკრატიული პროცესები, ეკონომიკა და ა.შ. ანუ არ უნდა იყოს პოლიტიკური ბმა, რაც ეწინააღმდეგება რეგიონში, განსაკუთრებით ხსენებულ სამ ქვეყანაში (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) არსებულ განწყობებს. ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია, ამ სამმა სახელმწიფომ აჩვენოს, რომ ევროპარლამენტის წინა გადაწყვეტილებები, სადაც ეწერა, რომ ამ ქვეყნების ევროპული მისწრაფებები მნიშვნელოვანია და უნდა იქნეს გათვალისწინებული, დადასტურდეს. სწორედ ამ კონტექსტში იყო თაოსნობა მნიშვნელოვანი, რათა პროცესები მხოლოდ ტექნიკური მიმართულებით არ წავიდეს. მით უფრო, რომ ამ ქვეყნებს ასოციირების ხელშეკრულებები აქვთ, რაც ვადებულებებსაც გულისხმობს. და მეტად უნდა დაეხმარო ვალდებულებების მქონე ქვეყნებს, ვიდრე იმათ, რომლებსაც ვალდებულებები არა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენთვის სასარგებლო მდგომარეობა არ არსებობს, მნიშვნელოვანია, ეს სამი ქვეყანა გამოიყოს და დღის წესრიგში შენარჩუნდეს.

– ბრძანეთ, არასახარბიელო კონტექსტი ყალიბდებაო, და ამას რამდენად უწყობს ხელს თავად ამ სამ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში მიმდინარე პროცესები?

– როდესაც არსებობს მსგავსი კონტექსტი და ასევე მრავლად არსებობენ სკეპტიკოსები, მათ შორის – საქართველოსან მიმართებაში, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველო არაა ევროპული სახელმწიფო, ჩამოყალიბებული განმტკიცებული დემოკრატიით, მათ მიზანს ამტკიცებს საქართველოს შესახებ ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ცდილობს ძალაუფლების კონცენტრაციას და მესამე ვადით შენარჩუნებას. მათთვის უფრო ადვილი ხდება, დაბლოკონ საქართველოს მისწრაფებები იგივე ნატოსა და ევროკავშირთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი კი საქართველოს შიდა პოლიტიკური პროცესებითაა განპირობებული, რომელიც, თავის მხრივ, უპირველესად საარჩევნო რეფორმას უკავშირდება. ამ რეფორმის დაბლოკვა გავლენას ახდენს, მათ შორის, საქართველოს მეგობრებზეც: ისინიც იმედგაცრუებულნი არიან, რადგან ხელისუფლება დაჰპირდა ხალხს, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს არაფერს ნიშნავს. გარდა ამისა, აკავებენ ერთ-ერთ ოპოზიციურ ლიდერს... ეს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის გამოწვევაა. თან ჩადიხარ ბრიუსელში, ვაშინგტონში, ეუბნები მეგობრებს, რომ ყველაფერს ითვალისწინებ და მეორე დღეს, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, აკავებ ერთ–ერთ ოპოზიციურ ლიდერს... ბუნებრივია, მას აქვს უარყოფითი კონოტაცია და აისახება კიდეც სხვადასხვა მთავრობების, კონგრესმენების და დეპუტატების განცხადებებში. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ეს ტონი კიდევ უფრო მწვავდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ სახელმწიფოებს საქართველოში საელჩოები აქვთ, ჰყავთ საინფორმაციო წყაროები, ამდენად, ფლობენ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების თაობაზე და „ქართული ოცნების“ პოზიციონირება, რომ მხოლოდ ინფორმაციაშია პრობლემა, რაღაცნაირად „სირაქლემას პოლიტიკას“ ჰგავს.

– მოქალაქეებისთვის გასაგებად უნდა განვმარტოთ, რა ხელშესახებ რისკებს აჩენს ეს პოლიტიკა...

– თუ ხელისუფლება დროულად არ მოეგო გონს, არ დაიწო ოპოზიციურ სპექტრთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან იმ საკითხების განხილვა, რომელთა ირგვლივაც შეიქმნა პრობლემები, რათა ქვეყანა პოლიტიკური კრიზისიდან გამოიყვანოს, არაა გამორიცხული, საქართველო თანდათან იზოლაციის გზას დაადგეს: თუ საერთაშორისო საზოგადოებამ ნახა, რომ არჩევნები ჩატარდა დარღვევებით, ხოლო შედეგებს არ ეთანხმება როგორც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, ისე პოლიტიკური სპექტრი, ბუნებრივია, ახალი ხელისუფლების კანონიურობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ეს კი სერიოზული პრობლემაა საქართველოს სტაბილურობისა და განვითარებისთვის. ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა, შესაძლოა, გადახედონ მრავალმილიონიანი დახმარების პაკეტებს, ასევე უვიზო რეჟიმს. გამოდის, რომ საქართველო ეკონომიკური, სამხედრო და უსაფრთხოების თვალსაზრისით დაუცველი რჩება. და ვინ იღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის დაცვაზე? ჩნდება ორი ვარიანტი: სახელმწიფომ შეცვალოს პოლიტიკა და მოკავშირეებთან მონახოს საერთო ენა, ან შეცვალოს სტრატეგიული გეზი და მონახოს სხვა მოკავშირე. ჩვენ კი ვიცით, რომ სხვა „მოკავშირე“, რომელიც ამ საკითხებითაა დაგულისყურებული, მხოლოდ რუსეთია. ბუნებრივია, ეს სავსებით მიუღებელია როგორც საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, ისე პოლიტიკური სპექტრის უმრავლესობისთვის. ვერ ვიტყვი, ეს ყველაფერი შეგნებულად კეთდება თუ შეუგნებლად, თუმცა ეს საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის მდგრადობასთან დაკავშირებით რისკებს აჩენს და ამას შეიძლება, მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს.

– ამ კონტექსტში მახსენდება ბატონი გია ვოლსკის კომენტარი, რომელიც მან აშშ-დან კრიტიკის პასუხად გააკეთა: „არა მხოლოდ საქართველოს სჭირდება აშშ, არამედ რეგიონში მასაც სჭირდება საქართველოო“. მსგავს იმედებზე ხომ არ არის დამყარებული ხელისუფლების, ასე ვთქვათ, სიჯიუტე?

– არასწორი რიტორიკაა: ვფიქრობ, საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოს როლი სხვაა, ხოლო შეერთებული შტატების წონა საქართველოს უსაფრთხოებასთან მიმართებში ცოტა განსხვავებული უნდა იყოს. ვინ ვის უფრო სჭირდება? – ალბათ, აშშ-ს საქართველოს გარეშე არსებობა არ გაუჭირდება, აი, აშშ-ის გარეშე საქართველოს უსაფრთხოება როგორ წარმოგვიდგენია?! ამასთან, ვფიქრობ, ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული იმედები ავადმყოფობის წინააღმდეგ მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლით ბრძოლას ჰგავს. მთლიანობაში ეს პროცესს არ შველის. ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ინფორმაციის ნაკლებობასთან კი არა, სისტემურ პრობლემებთან გვაქვს საქმე და ეს უნდა მოგვარდეს სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური აქტორების ჩართულობით.

– მესმის, რთულია, განვსაჯოთ, რა ხდება პოლიტიკური მოთამაშეების თავებში, მაგრამ თქვენი დაკვირვებით, რას შეიძლება, ეფუძნებოდეს მმართველი პოლიტიკური გუნდის იმედები?

– ვფიქრობ, მმართველ გუნდს ცუდი სამსახური გაუწია ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებმა, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ეს არ იყო სანიმუშოდ ჩატარებული არჩევნები და ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მმართველი გუნდისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან რეჟიმის გადარჩენა-არგადარჩენაზეა საუბარი, ისევე, როგორც 2012 წელს იყო და ფასიც გაიზარდა. ხელისუფლება ფლობს ფინანსურ რესურსებს, ოპოზიციური სპექტრი საკმაოდ დაქსაქსულია, ამომრჩეველი კი – დათრგუნული. გარდა ამისა, მმართველ გუნდში იმედოვნებენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ვერ მოიცლის, რადგან აშშ-შიც არჩევნებია და ა.შ. მაგრამ აშკარად ჩანს, რომ საქართველოს საკითხებისადმი ყურადღება როგორც ევროკავშირში, ისე აშშ-ში მაღალ დონეზე ნარჩუნდება. მათ იმედი აქვთ, რომ ეს ტალღა ჩაივლის, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ იგი მხოლოდ ძლიერდება და რაც უფრო მოახლოვდება საარჩევნო დრო, ზეწოლაც გაიზრდება.

– ამ პოლიტიკური ჩიხიდან გამოსავალს რაში ხედავთ?

– მეგობრების ინტერესი ის კი არაა, არჩევნებში რომელიმე პარტიამ გაიმარჯვოს, არამედ ქვეყანამ შეინარჩუნოს სტაბილურობა. სტაბილურობა კი კონსენსუსის გზით შენარჩუნდება: ოპოზიციამ და ხელისუფლებამ კომპრომისული გამოსავალი უნდა მოძებნონ, მათ შორის – საარჩევნო კანონთან დაკავშირებით, რაც მეტ-ნაკლებად ასახავს ამომრჩევლის გულისყურს. შემდეგ ამაზე დაფუძნებული არჩევნები უნდა ჩაატარონ კონკურენტულ გარემოში, სადაც საერთაშორისო დამკვირვებლები იქნებიან ჩართულნი. ეს უნდა იყოს ძალიან ღია, გამჭვირვალე არჩევნები. საქართველომ კიდევ უფრო უნდა განამტკოცოს მდგომარეობა, რაც მას რამდენიმე წლის განმავლობაში ჰქონდა (ვგულისხმობ ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილებას). ასეთივე მაგალითის განმეორება გვჭირდება, რათა თავი დავიმკვიდროთ, როგორც ელექტორალურმა დემოკრატიამ. საქართველოს აქვს იშვიათი შანსი, საერთაშორისო საზოგადოების თვალში სახელი განამტკიცოს და ეს არ გამოვა ძალაუფლების ჩაბღაუჭების გზით.

– როგორ ფიქრობთ, თავად ამ მდგომარეობაზე განხორციელებული მძიმე დარტყმების ფონზე, რაც ცალკეულ ნაბიჯებში გამოიხატა, ეს საკითხი მმართველ გუნდში იყურადღებებთ?

– მართალია, არ იმჩნევენ, მაგრამ საკმაოდ მტკივნეულად განიცდიან საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მომდინარე კრიტიკას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველო დამოკიდებულია მეგობრებზე და საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციებზე, მათ შორის – დეოკუპაციის, ფინანსურ და უამრავ სხვა საკითხთან. პრობლემა იმაშია, რომ საკუთარი „ტყავის“ გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანი ჰგონიათ. საქართველოს ყველა ხელისუფლებას ჰქონდა მსგავსი ცდუნება, მით უფრო, რომ მათ იციან ქართული პოლიტიკის დაუნდობელი ბუნება – თუ რეჟიმის ცვლილება მოხდა, იწყება „პოლიტიკური ვენდეტა“. ეს, ალბათ, კიდევ უფრო ამძაფრებს ხელისუფლების შენარჩუნების ჟინს. მაგრამ თუ ხალხს გაუჩნდა უსამართლობის განცდა, შესაძლოა, ქუჩაშიც გავიდეს და ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება ძალაუფლების შენარჩუნება. ნებისმიერი რევოლუციური სცენარი წამგებიანია საქართველოს საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ᲙᲐᲠᲚ ᲰᲐᲠᲪᲔᲚᲘ: ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ

– ᲐᲛᲘᲡ შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მან მხარეებს საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ მოლაპარაკებების სწრაფი განახლებისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად სულ უფრო ცოტა დრო რჩება.

„ამ ეტაპზე სიტუაცია რთულია, მაგრამ შესაძლებლობების განხილვას ვაგრძელებთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ დრო იწურება. კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შესატანად მოქმედება სწრაფად უნდა დავიწყოთ. დროის ფანჯარა იხურება, მაგრამ ჩვენ ყველა მხარესთან დიალოგს განვაგრძობთ, რადგან აბსოლუტურად დარწმუნებულები ვართ, რომ წარმატებული დიალოგი პოლარიზაციის შემცირების საუკეთესო საშუალებაა“, – განაცხადა ჰარცელმა.

ცხინვალში მაღაზიები ცარიელდება

ცხინვალში სასურსათო მაღაზიები პროდუქტისგან ცარიელდება. ვიტრინებში და თაროებზე რძის პროდუქტები საერთოდ აღარ ჩანს, დეფიციტია ბურღულეულსა და ბავშვთა კვების პროდუქციაზე. ადგილობრივი ტელევიზიით აღარც მალავენ, რომ კრიზისის ნიშნებია. მზადდება რეპორტაჟები იმის შესახებ, რომ მაღაზიები უკვე ბოლო მარაგებს ყიდიან. დე ფაქტო რესპუბლიკის ტელევიზიით გავიდა რეპორტაჟი, სადაც ნაჩვენები იყო, როგორაა დაცარიელებული მაცივრები რძის პროდუქტებისგან.

რუსეთის ფედერაციიდან ცხინვალში პროდუქტების შეტანისას პრობლემები ორ კვირაზე მეტია, რაც გაჩნდა.

რუსეთის მებაჟეები ცხინვალისკენ მიმავალ ტვირთებზე ითხოვენ ევრაზიული საბაჟო კავშირის შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებას, ცხინვალელი მეწარმეები კი ირწმუნებიან, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან დე ფაქტო რესპუბლიკის ბაზარი და მოსახლეობა იმდენად მცირეა, რომ იქ მხოლოდ მცირე რაოდენობის პროდუქცია შედის, ზოგიერთ მანქანაში ხანდახან ასამდე დასახელების პროდუქტია და მათზე სათითაოდ ვერ გაფორმდება ვერც წარმომავლობის სერტიფიკატი და ვერც ექსპორტის დოკუმენტაცია. შეწუხებულმა მეწარმეებმა ცხინვალის ცენტრშიც არაერთხელ მოიყარეს თავი, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დახმარება ეთხოვათ. ბიზნესმენები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ბიბილოვის ხელისუფლება ტვირთების გადაადგილებისას წარმოქმნილ პრობლემებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებასთან ვერ აგვარებს. უკვე წლებია, ცხინვალელ ბიზნესმენებს ეს პრობლემები აწუხებთ და საბაჟო რეჟიმის პერიოდული შერბილება თუ ხდება, საერთო ჯამში, ეს ვერ ხსნის პრობლემას. მათ დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ალან დატდაევი შეხვდა, რომელმაც მხოლოდ ის თქვა, რომ წერილი გაგზავნეს კრემლში და რუსეთის ფედერაციის მთავრობას საბაჟო რეჟიმის შერბილება სთხოვეს.

ცხინვალის მედიის ცნობით, მედიკამენტების სიმცირე უკვე აფთიაქებშიც შეინიშნება. ამ ფონზე დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტრომ აფთიაქებში რეიდები ჩაატარა ქართული წარმოების წამლების აღმოსაჩენად.

ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ქართული წარმოების პროდუქციის, მათ შორის სამედიცინო პრეპარატების გაყიდვა აკრძალულია დე ფაქტო მთავრობის სპეციალური დადგენილებით.

რადიო „თავისუფლების“ პროექტ „ეხო კავკაზას“ ინფორმაციით, ბევრი ცხინვალელი ადასტურებს, რომ ადგილობრივი ექიმები მათ სწორედ ქართულ ბაზარზე არსებული სამედიცინო პრეპარატების ყიდვას ურჩევენ, რადგან თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ხარისხის კონტროლის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. ოკუპირებულ რეგიონში მედიკამენტები ძირითადად რუსეთიდან შეაქვთ.

კონფლიქტოლოგი ზურაბ ბენდიანაშვილი რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, რომ შექმნილი კრიზისი კიდევ ერთხელ აჩვენებს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აბსურდულობას. მისი აზრით, ეს პრობლემები ქვემო ზარამაგზე რუსეთში საკადრო ცვლილებების შემდეგ დაიწყო და მისი გადაჭრის გზაც არ ჩანს. ბენდიანაშვილის აზრით, დე ფაქტო ხელისუფლებას ადგილობრივი ბაზრის შესავსებად ახალგორის გზის გახსნის ვარიანტი აქვს, მაგრამ ამას მოსკოვის დაუკითხავად ვერ აკეთებს.

ცხინვალში შექმნილი სასურსათო კრიზისის ფონზე პროდუქცია გაძვირებულია ოკუპირებული ახალგორის მაღაზიებშიც. ნახევრად დაცარიელებულ დაბაში ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით იკვებება. „რადიო თავისუფლების“ ახალგორელი წყაროების ცნობით კი, დაბაში უკვე ჩადიან ცხინვალელი მეწარმეები და მოსახლეობისგან კარტოფილსა და შინ დამზადებულ რძის პროდუქტებს ყიდულობენ, შემდეგ კი ცხინვალში მიაქვთ და იქ ყიდიან. ქვემო ზარამაგთან რუსეთის საბაჟოზე შექმნილი პრობლემების შემდეგ ზოგიერთმა მეწარმემ გამოსავალი მოძებნა: სატვირთო მანქანებიდან ტვირთებს მსუბუქ მანქანებსა და მიკროავტობუსებში ტვირთავენ და რუსეთის საბაჟოზე მათ, როგორც ხელბარგს, ისე ატარებენ. იქაური კანონმდებლობით, თითო მოქალაქეს 50 კილოგრამი ხელბარგის გადატანა შეუძლია, ამიტომ მეწარმეები ნათესავებისა და მეზობლების სიებით დადიან, 50-50 კილოგრამს აფორმებენ მათზე და ამ გზით შეაქვთ ცხინვალში რუსეთის პროდუქცია. ამასობაში ახალგორის გამშვები პუნქტი ჩაკეტილია, თბილისიდან ცხინვალამდე ტვირთის ჩატანა კი ბევრად მარტივად და შედარებით დაბალ ფასად შეიძლება, თუმცა ბიბილოვის ხელისუფლება ამ ნაბიჯს ჯერ არ დგამს.

გოგა აფციაური

უპასუხისმგებლო, გაუთვლელი გადაწყვეტილება

ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი 15 05 ფასიანი გახდა. როგორც სამინისტროს ცხელ ხაზზე აცხადებენ, უწყებაში დარეკვა მობილური ტელეფონიდან ყოველთვის ფასიანი იყო, ქალაქის ნომრიდან დარეკვა კი ფასიანი ახლახან გახდა და ამას კომპანია „სილქნეტი“ განსაზღვრავს.

ჯანდაცვის სფეროს ექსპერტი სერგო ჩიხლაძე აცხადებს, რომ ეს ფაქტი არაფერში არ წერია. **„ეს არის აღმაშფოთებელი, ეს არის საკუთარი ხალხის გასაჭირის უგულებელყოფა. ცხელი ხაზის ფუნქციაა, რომ ხალხი რეკავს მაშინ, როდესაც უჭირს. ეს იგივეა, ხანძრის დროს ფასიანი იყოს სამაშველო და ადამიანმა ვერ დარეკოს. აქ რეკავს ადამიანი, ვისაც სოციალური ან ჯანდაცვის მხრივ გაჭირვება აქვს. ამისთვის იყო შექმნილი. ცხელი ხაზი თუ ფასიანი გახდა, ეს იქნება უდიდესი ბარიერი ადამიანებისთვის, რადგან იზღუდება ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუ ეს ფასიანი გახდა, ეს არის ჩვეულებრივი კომერციული მომსახურება. ეს არის უპასუხისმგებლო, გაუთვლელი გადაწყვეტილება“,** — აცხადებს ჩიხლაძე.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე აკაკი ზოიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ მას ამის შესახებ არასდროს სმენია და ეს გადაწყვეტილება უპრიანი ნამდვილად არ არის. **„ჯანდაცვის სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება რატომ მიიღო, აუცილებლად უნდა განმარტოს. ალბათ საკმაოდ დიდი თანხა ჯდებოდა, სამინისტროს ბიუჯეტს თანხები შეეკვეცა თუ რა მოხდა, არ ვიცი, ეს უნდა განმარტონ“,** — აცხადებს ზოიძე.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი წარმოადგენს კომპანია „სილქნეტის“ აბონენტს ნომრით 5 51 00 26; 2 51 00 33 და 1505, შესაბამისად ამ ნომრებზე დაკავშირება ხდებოდა კომპანია „სილქნეტის“ მიერ დაწესებული ტარიფით. მოქალაქეებს მობილური ოპერატორებიდან და სხვა სატელეფონო-საკომუნიკაციო ქსელიდან ცხელ ხაზთან დაკავშირების დროს თანხა ეჭრებოდათ იმ ხელშეკრულების საფუძველზე რაც არის დადებული კომპანია „სილქნეტსა“, სატელეფონო-საკომუნიკაციო ქსელსა და მობილურ ოპერატორებს შორის, მოქალაქეთა მხრიდან იყო პრეტენზია, რატომ არ იყვნენ ინფორმირებულები ამის შესახებ, თუმცა ამ პრინციპით მიმდინარეობდა დაკავშირება 1505-ზე ცხელი ხაზის დაარსების დღიდან. აქედან გამომდინარე საჭირო გახდა ცხელი ხაზის ინტერაქტიულ მისალმების ტექსტში შესულიყო ცვლილება, კონკრეტულად დაემატა წინადადება, რომ ცხელ ხაზთან დაკავშირება ფასიანია, ანალოგიურად ხდება მოქალაქის ინფორმირება, იმის შესახებ, რომ მისი საუბარი ცხელ ხაზთან იწერება“, — განმარტავენ ჯანდაცვის სამინისტროში.

სოფო ქსოვრელი
ბაჩო ადამია



კახეთის რკინიგზა ეკონომიკურად წამგებიანი იქნებაო!

კახეთის რეგიონში გასული საუკუნის 90-იან წლებიდან განადგურებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის აღდგენაზე ლაპარაკი **„ქართულმა ოცნებამ“ ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე დაიწყო.** 2012 წლის ოქტომბრის დასაწყისში, თელავში საარჩევნო კამპანიის დროს, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ასეთი რამ განაცხადა: **„კახეთისთვის რკინიგზის რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. ჩვენ ამ საქმესაც მივხედავთ და კახეთს ნორმალური ცხოვრების საშუალებას დავუბრუნებთ“.**

ამ განცხადებიდან 4 წლის შემდეგ, 2016 წლის ოქტომბერში, „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“, GRASS-ის მიერ შექმნილი „ფაქტ-მეტრი“ წერდა, რომ დაპირება ბიძინა ივანიშვილს თელავში, რეგიონულ მედიასთან შეხვედრაზე შეახსენეს და პასუხად მიიღეს: **„არაფერი არ გაკეთებულა რკინიგზის მიმართულებით? მე კიდევ ვიცი, რომ ბევრი სამუშაოები მიდის...“**

კიდევ დაახლოებით ორი წლის შემდეგ, 2018 წლის მარტში, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კახეთში ყოფნისას ასეთი რამ თქვა: **„ტურიზმი რკინიგზის გარეშე არის წარმოუდგენელი. კახეთის მიმართულებით ჩვენ გვაქვს რკინიგზა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე განადგურებული და სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იფიქროს იმაზე, რომ ეს რკინიგზა აღდგეს“.**

ამ განცხადებიდან დაახლოებით სამ თვეში გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგა.

მას შემდეგ რკინიგზის აღდგენაზე რამდენჯერმე ილაპარაკა სახელმწიფო რწმუნებულმა კახეთის რეგიონში ირაკლი ქადაგიშვილმა და საჯარო განცხადებებს დეტალებიც შესძინა. მაგალითად, ის, რომ რკინიგზა „აზიის განვითარების ბანკის“ ჩართულობით აღდგებოდა და პროექტი მზად იქნებოდა 2019 წელს.

2020 წლის თებერვალში ირაკლი ქადაგიშვილი გვეუბნება, რომ ადრინდელი განცხადებები პერსპექტივას ეხებოდა, ეკონომიკურმა გათვლამ სხვა სურათი აჩვენა და კახეთში რკინიგზის აღდგენა ამ ეტაპზე არ იგეგმება.

სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, სხვადასხვა უწყებასთან, მათ შორის „საქართველოს რკინიგზასთან“ ბევრი იმსჯელეს და ვერ დაადგინეს პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობა: **„არანაირი ეკონომიკური გათვლით დღეს არ ხერხდება რკინიგზის თემის აქტუალიზაცია. ამიტომ, ამ ეტაპზე რაიმე ხელშესახები სიახლე რკინიგზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით არ არის“.**

შეკითხვას, რას ეფუძნებოდა ადრინდელი განცხადებები და რატომ გააჩინეს მოლოდინი? ირაკლი ქადაგიშვილმა უპასუხა: **„ამ განცხადებით იყო გამჟღავნებული პერსპექტივა, ხედვა, რა არის კარგი და მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ეტაპობრივი განხორციელების პირობები. ამ ეტაპზე არის ეს“.**

კახეთში თითქმის მთლიანად მოშლილი სარკინიგზო ინფრასტრუქტურის აღდგენის იდეას თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა „ლეიბორისტული პარტიის“ რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნიკა ვარდოშვილი.

ნიკა ვარდოშვილი სახელმწიფო რწმუნებულს ურჩევს, საჯარო განცხადებებამდე საკითხები საფუძვლიანად შეისწავლოს: **„ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებები არის აქტივობები აქტივობებისთვის. რა თქმა უნდა, კახეთს რომ რკინიგზა ჰქონდეს, ტვირთბრუნვისთვის და ეკონომიკისთვის ძალიან კარგი იქნება, მაგრამ ეს დაკავშირებულია ძალიან დიდ თანხებთან. ბიძინა ივანიშვილს როდესაც 2012 წლის მერე ახსენებდნენ დანაპირებებს, ას ქარხანაზე და სხვაზე, იძახდა დაპირებები გადაჭარბებული იყო და წამოგვცდაო. აი, ამას მახსენებს დღეს კახეთის გუბერნატორის განცხადება, რომ თურმე, შეუსწავლიათ და მომგებიანი არ ყოფილა ეს პროექტი“.**

კახეთის რკინიგზის ხაზი გურჯაანის, თელავის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს და კაჭრეთის სადგურებს აერთიანებს. თბილისიდან კახეთისკენ და პირიქით, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე აქტიურად მოძრაობდნენ როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო მატარებლები. კახელები სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ოც წელზე მეტია ითხოვენ...

გიორგი ალადაშვილი

უგულავამ „იგულავა“?!..

ეკრანიდან თუ ამდენ საოცრებებს მომასწრებდნენ ეს მოლაყბე, ტენდენციური, მატყუარა, დიდი ალბათობით მოსყიდული ტელევიზიები, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი! ეს ეხება, პირველ რიგში, ყოფილი „რუსთავი-2“-ის მიერ გამოჩეკილ და გაორმაგებულ სატელევიზიო არხებს: „მთავარს“ და „ფორმულას“. აგრეთვე: „ტვ პირველს“, „კავკასიას“ და სხვებს. ოპოზიციური პარტიები დააანონსებენ თუ არა, ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე რუსთაველზე საპროტესტო მიტინგს ვმართავთო, ტელეჟურნალისტების სიხარულს საზღვარი არა აქვს! გაუჩნდებათ გადასაღები მასალა — ხშირად მთელი დღე ამ მიტინგებს აჩვენებენ, ეკრანიდან არ ჩამოდიან და ინტერვიუს იძლევიან მიტინგის ლიდერები, ცნობილი თუ ახლად გამოჩეკილი გალიდერებული პოლიტიკური „სახეები“. ისინიც გაჰკივიან, იმუქრებიან, იგინებიან, ერთ წინადადებაში ლამის სამჯერ წარმოთქვამენ „ივანიშვილს“, ჩვენა ვართ, რაცა ვართო, ქართველი ხალხი და მთელი მსოფლიო ჩვენ გვიჭერს მხარსო, მალე პოლიტიკურ მოუსავლეთში გავგზავნით ამათო და ა.შ. ოპოზიციურ პარტიებს არ ჩამორჩებიან ჩვენს ქვეყანაში სოკოებივით მომრავლებული და უხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი ლიდერებიც ასევე ეკრანიდან არ ჩამოდიან, გვმოძღვრავენ, იურიდიულ „ნიუანსებს“ გვასწავლიან. შარშან ოკეანისგაღმელი პატრონებისაგან გამოყოფილი 16 მილიონი(!) ხომ უნდა აითვისონ; ათასნაირ ხერხებს და პლაკატებს იგონებენ და ათვალსაჩინოებენ ეკრანზე, რომ ჩაეთვალოთ „მოღვაწეობა“. შეურაცხყოფას აყენებენ რელიგიურ წმინდანებს, ხატებს და მათ ადგილზე „ქართული ოცნების“ ლიდერების ფოტოსურათებს ამაგრებენ. პლაკატი „სირცხვილია!“ გამოაქვთ, როცა თვითონ არიან უსირცხვილოები. ცხვრებიც კი მირეკეს პარლამენტის წინ იმის სიმბოლოდ, თითქოს პარლამენტარები და მთავრობის წევრები მონები და ცხვრები ხართ ივანიშვილისო...

ხშირად ტელეჟურნალისტები თვითონ ამძაფრებენ ვითარებას, დრამატულს ხდიან; მაგალითად, ეკითხებიან „„რესპონდენტებს“: საპროტესტო აქციებს ხომ მუდმივად გააგრძელებთო, მუხტს ხომ არ დააგდებთო. ისინიც უპასუხებენ: არა, რასაკვირველია, უფრო მძაფრად შევუტევთო! სადმე რაღაც ჩოჩქოლი რომ ატყდება, შეშფოთებული ხმით გარბის მიკროფონიანი ჟურნალისტი და ოპერატორს აჩქარებს: აი, იქ რაღაც ხდება, ვაჩვენოთო. მოვლენ და არაფერი ისეთი იქ არ ხდება, მხოლოდ გაწევ-გამოწევაა და გინება ისმის. მაგინებელთან უფრო ახლოს მიაქვთ მიკროფონი. აყალმაყალს გამოკიდებულ ტელევიზიებს ძალიან უნდათ, რომ იყოს ჩხუბი. დასისხლიანება, პირველებმა გადაიღონ ესა თუ ის კადრი. თვითონ არანაირ შეფასებას არ აძლევენ მოვლენებს, ამა თუ იმ პირის ნათქვამს. ეს არის მათი ჟურნალისტობა და მიუკერძოებლობა? (მაგრამ ცნობილია, მიუკერძოებლობა მყისვე ქრება იქ, სადაც მოსყიდვა ხდება!).

ამას წინათ ლეიბორისტების ოფისიდან ვუყურე გიგი უგულავას „აღსარებას“ ციხეში წასვლის წინ. როგორ ამაყად ეჭირა თავი, თითქოს აქ არაფერი ხდებაო! რასაკვირველია, ისევ ხელისუფლებას და ივანიშვილს ადანაშაულებდა ყველაფერში. სულაც არ ეტყობოდა შეშფოთება და სინანული, ციხეში რომ აგზავნიდნენ; **იფიქრებდი, ეს კაცი დასასვენებლად მიდისო. გიგი მართლაც გონიერი კაცია, შესახედაობითაც გამოსარჩევია, ანალიზის უნარიც კარგი აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში რატომ არ ჰქონდა სულ მცირე სინანულის გრძნობა მაინც, თუ რა ჩაიდინა?** ნუთუ თავის საქციელს ამართლებს? **48 მილიონი რომ გაფლანგა, ეს არაფერს ნიშნავს? 48 ათასი ლარი ხომ არ არის, 48 მილიონია!** სად წაიღო მან ეს ფული? მოახმარა თანაპარტიელებს. მაშინ ქალაქის მერი იყო და „იქმოდა, რასაც ინებდა“ (როგორც დ. გურამიშვილი ამბობს). გამახსენდა მისი ადრინდელი ინტერვიუ: ჩემს ხალხს უჭირდა და ვეხმარებოდიო (ბუნებრივია, არც თავის თავს ივიწყებდა)! იმას აღარ ამბობს, ამ ხალხს არჩევნების წინ რომ ეხმარებოდა, რათა ნაციონალებს გაემარჯვათ არჩევნებში! სააკაშვილის ზეობის დროს ნაციონალების ლიდერები, რომ იტყვიან, „ბაირამობდნენ“. აბა, როგორ მოგწონთ, გიგიმ თავისი მეუღლე სამშობიაროდ რომ გადააფრინა ვენაში (ავსტრიაში) და ამ თვითმფრინავს კიდევ თავისი გულშემატკივრებით „სავსე“ ორი თვითმფრინავი გაჰყვა, თანაც ეს ყველაფერი — ბიუჯეტის ხარჯით! და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს არცთუ ცოტა შიმშილობდა და პურის ფულის საშოვნელად ქუჩაში სავაჭროდ იყვნენ გამოსულები სიცივეში და სიცხეში!

ამ ინტერვიუს დროს გიგის გვერდით წარბშეკრული შალვა ნათელაშვილი იდგა, რომელმაც თქვა: „პირსისხლიანმა დიქტატორმა გადალახა წითელი ხაზები. მესამედ დააპატიმრა ოპოზიციის თვალსაჩინო ლიდერი გიგი უგულავა და ის ემზადება რეჟიმის ციხეში წასასვლელადო“. როგორ მოხდა, რომ შალვამ სხვა დაასახელა „თვალსაჩინო ლიდერად“? საკვირველი ის არის, რომ ადრე შალვამ გიგის მეუღლის მშობიარობის ავსტრიაში „ვოიაჟი“ და ფულების ხარჯვა მთელ ქვეყანას მოჰფინა და სულ ხელზე ჰქონდა დახვეული ეს ფაქტი, ახლა კი მის გვერდით დგას და მას აქებს და ადიდებს! რა არის ეს, თუ არა ქამელეონობა? რატომ ხდება ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკოსების ასეთი სახეცვალება? ლეიბორისტების ოფისში შეკრებილი ოპოზიციური პარტიის ლიდერები განა გუშინ და გუშინწინ არ იყო, ერთმანეთს რომ ლანძღავდნენ, აფურთხებდნენ და პოლიტიკურად ამათრახებდნენ? ახლა კი ერთად სხედან! რა არის ეს, თუ არა **„გადაფურთხებულის ალოკვა?!“ ამ დამცირებას კი მხოლოდ იმიტომ მიმართეს, რომ სახელისუფლო თუ საპარლამენტო სავარძლებში როგორმე მოკალათდნენ! ხალხი კი ყველას ფეხებზე ჰკიდია!**

დიახ, ციხეში წამსვლელი **გიგი უგულავა ფაქტობრივად გმირად შერაცხეს ჩვენმა ტელევიზიებმა!** ამ კადრს ვინც უყურა, ჟურნალისტების მრავალტანჯული ხმაც ხომ გახსოვთ? ადრე გიგიმ 1 წელი და 3 თვე მოიხადა ციხეში უფლებამოსილების გადამეტებისთვის; ახლა გაფლანგვისთვის, ანუ ქურდობისთვის 3 წელი და 2 თვე უნდა იჯდეს ციხეში (შეიძლება, უფრო ადრეც გამოუშვან). მკითხველს შევახსენებ, რომ **სწორედ სააკაშვილის და უგულავას რეჟიმის დროს, მაგალითად, ქათმის ქურდს იმდენ წელს უსჯიდნენ, რამდენ ქათამსაც მოიპარავდა:** სამი ქათმის ქურდს — სამ წელს, ათი ქათმის ქურდს — 10 წელს და ა.შ. **ახლა მითხარით, 48 მილიონში რამდენი ქათამი მოვა? თქვენ გამოიანგარიშეთ, ამის მიხედვით რამდენი წელი ეკუთვნის გიგის?**

ზევით აღვნიშნე, გეგონებოდათ, გიგი დასასვენებლად მიდისო! **აბა, რა გგონიათ, ქართულ ციხეში კეთილმოწყობილ პირობებს არ შეუქმნიან გიგის, ისევე** როგორც ვანო მერაბიშვილს ჰქონდა და აქვს ასეთი პირობები? **საერთოდ, ქართულ ციხეებში პატიმრებს თურმე ისე მოწიწებით ექცევიან და ისე მაძღრისად კვებავენ, რომ გარეთ მყოფ თუნდაც აკადემიკოსებს ნამდვილად ენატრებათ მათი ყოფა.**

ასე რომ, გიგი უგულავა ციხეში ადრეც „გულაობდა“. ციხის გარეთაც ხომ „გულაობდა და გულაობდა“ და „ვითომ საპყრობილეში“ ახლაც ასევე „იგულავებს“ და „იგულავებს“?!.

ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ, თორემ...

უშანგი ჯანგირაშვილი
ქ. ბორჯომი

◎ არის, ასრულდა!

გვამები ჩქარა!

გიხაროდენ!

დღეს ვანო მერაბიშვილი „სვაბოდაზე“ გამოდის!

დიახ, სისხლიანი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხერხემალმა შვიდწლიანი „სროკი“ მოიხადა და თანამზრახველებს პირნათელი უბრუნდება.

მართალია, მარტვილობის დასაწყისში ერთი კი დაიწუწუნა, ფარცხალაძის კაბინეტში ღამით თავზე ტომარაჩამოცმული მიმაბრძანესო, მაგრამ ზოგი „პოლიტპატიმრისგან“ განსხვავებით, შედარებით ღირსეულად გამოიყურებოდა და დღეებს უხმაუროდ ითვლიდა.

თუმცა, რატომაც არა — ნაციონალური ბნელეთის მოციქულს ისეთ სასათბურე პირობებში მოუწია ოთხ კედელში მარტოობა, მისივე ზეობის პერიოდის ტუსაღებს რომ არც კი დაესიზმრებოდათ.

დიახ, ევროსაკანია, აბა, რა, როცა ინტერნეტიც, ტელეფონიც, მხატვრული ლიტერატურაც და მრავალი სხვა ამქვეყნიური სიამეც მყუდრო გარემოს რომ გიმშვენიერებენ.

თუმცა, არის საკითხი, რომელიც ორ გვამზე მეოცნებე ექს-პრემიერს ვითომ მშვიდ ძილს რომ უნდა უფრთხობდეს. საუბარია იმ ფაქტზე, ერთმანეთს მესხეთის კათოლიკე შვილის განთავისუფლება და საქართველოს გენერალურ პროკურორად ირაკლი შოთაძის მეორედ არჩევა რომ დაემთხვა.

მართლაც, სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელი ჩვეული უკომპრომისობით დაუბრუნდება თაროზე შემოდებულ ვარდ-ყვავილოვანი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა საგმირო საქმეებს, სადაც, მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილის ყოფილი „პირადი ტყვე“ კიდევ არაერთ სკანდალურ ეპიზოდში ფიგურირებს.

ჰოდა, საინტერესოა, როდემდე მოასწრებს ის ასე მონატრებული სუფთა ჰაერის ყლაპვას.

გია პლატონიშვილი

რატომ დაურეკა სულხან მოლაშვილის მამამ ჟურნალისტს?



„დღეს ბატონმა თამაზ მოლაშვილმა დამირეკა — სააკაშვილის რეჟიმის, პირადად გიგა ბოკერიას მიერ ნაწამები, აწ გარდაცვლილი სულხან მოლაშვილის მამამ...

რა მითხრა, იცით? — ზაზა, დადეთ ფოტო, რა მდგომარეობაში გამოვიდა ციხიდან ჩემი სულხანი და რა მდგომარეობაში — გიგი უგულავა თავისი პირველი პატიმრობიდანო... ხალხმა შეადაროს, ვის როგორ პირობებში უწევს ციხეში ყოფნაო...

გიგი ღმერთმა აცოცხლოს და მოანანიებინოს ცოდვები! გარდაცვლილი სულხანის ფოტოს გვერდით მოვერიდები მისი ფოტოს დადებას. მაგრამ აი, სულხანის ყოფილი ადვოკატი შალვა შავგულიძე და სულხანის მწამებელი გიგა ბოკერია ერთ პარტიაში რანაირად ძლებენ გვერდიგვერდ, მაინც მიკვირს!“ — წერს ზაზა დავითაია.

გია ვოლსკიმ ოპოზიციას „სკუნსთა მოდგმა“ უწოდა

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ ოპოზიციის პერფორმანსები გააკრიტიკა. მისი თქმით, საერთაშორისო ექსპერტებიც აღიარებენ, რომ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ რუსეთს საქართველოს დიდი ნაწილი ჩააბარა.

მისი თქმით, ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, ვინც მათ გვერდით დგას, საქართველოს ოკუპაციის საკითხზე პასუხისმგებლობას იზიარებს.

„თუ ვინმეს ნიშნის მოგებით უნდა ისაუბროს ან რუსეთთან ურთიერობაზე ან ქართული ინტერესების დათმობაზე, ნამდვილად არ არიან ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც მეგაფონების გარშემო არიან გაერთიანებული და პირში ეს სასტვენები უდევთ და ამ ტელემიკროფონებით დასდევენ ხალხს. ესენი არიან ზონდერები, რომლებმაც თავის დროზე ჩაიდინეს მძიმე დანაშაული. გარდა ამისა, თუკი ხატოვნად ვიტყვით, ეს არის რაღაც სკუნსთა მოდგმა. მათ არა მარტო მეგაფონით გვიყვირეს, არამედ საშინელი სუნი დააყენეს და შემდეგ გავიდნენ დარბაზიდან. ახლა მეგაფონებით შემოვარდნენ. აი, ეს არის მათი სახე, მაგრამ ამის უკან კიდევ უფრო სერიოზული დანაშაულები დევს, რასაც ჰქვია სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების გაყიდვა პირად ინტერესებზე“, - განაცხადა გია ვოლსკიმ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ სკუნსი ერთ-ერთი ყველაზე მყრალი ცხოველია!

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,



– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

ბავშვობა

ნუ მოამარაგებთ ბავშვებს მზამზარეული ფორმულებით, ფორმულები სიცარიელეა, გაამდიდრეთ ისინი სახეებითა და ნახატებით, რომლებზედაც დამაკავშირებელი ძაფები ჩანს. ნუ დაამძიმებთ ბავშვებს ამბების მკვდარი ტვირთით, ასწავლეთ ილეთები და ხერხები, რათა ცხოვრებაში გზის გაწალდვა გაუადვილდეთ.

* * *

ამქვეყნად მხოლოდ ერთი რამ მტკენს გულს – არ მინდა, რომ მოზრდილი ვხდები.

* * *

ბავშვობა ის ზღვარდაუდებელი მხარეა, საიდანაც ყველანი მოვდივართ. ვისი მოდგმისა ვარ? წარმოშობით ჩემი ბავშვობიდან ვარ, თითქოს რომელიმე ქვეყნიდან მოვდიოდე...

დედამიწა, მსოფლიო, ბუნება

დედამიწა უბრალო ცთომილი არ გეგონოთ, დედამიწაზე ითვლიან ასთერთმეტ ხელმწიფეს (ცხადია, აფრიკელებსაც), შვიდი ათას გეოგრაფოსს, ცხრა ათას მეცნიერს, შვიდნახევარ მილიონ ლოთ-მეგრუვეს, 311 მილიონ ამპარტავანს – დაახლოებით ორ მილიარდ ასაკოვანს.

* * *

წყალო! არცრა გემო გაქვს, არცრა ფერი, არცრა სუნი, შენი აღწერა შეუძლებელია, გეწაფებიან, ტკბებიან და არ უწყიან, რა ხარ. მარტო აუცილებელი რამ კი არა ხარ სიცოცხლისთვის, შენ თავად ხარ სიცოცხლე. შენთან ერთად ყოველსავე არსებულში იღვრება ნეტარება, რის ახსნაც არ ეგების მარტოოდენ ჩვენი ხუთი გრძნობით. შენ გვიბრუნებ ძალასა და სუყოველ თვისებას, რომელთაც ჯვარს დავუსვამდით. შენი წყალობით კვალად აჩქეფდნენ დამშრალი გულის წყაროები.

* * *

დასასრული. დასაწყისი იხ. №15-30

დედამიწა გვეხმარება ჩვენი თავის შეცნობაში ისე, როგორც ვერც ერთი წიგნი დაგვეხმარება. რამეთუ დედამიწა გვეწინააღმდეგება.

* * *

ეშმაკმა უწყის, დასახლებულია ცდომილი ესე თუ არა?

* * *

მიწამ თავად უწყის, რა თესლიც ეჭირვება.

* * *

ზღვაში როს ჩაედინებიან, მდინარეები სიმშვიდეს იძენენ.

* * *

რა კარგად დაკრიალებულია დედამიწა, როცა სამი ათასი მეტრის სიმაღლიდან დაჰყურებ. ყველაფერი თავის ადგილზეა, როგორც რომ სათამაშოები ყუთში, სახლები, არხები, გზები – მოზრდილთა სათამაშოები ბედ-სვიანი, მცირედ დაუჯრედებული: სუყოველი მინდორი მოჩარჩოებულია, სუყოველ პარკს გალავანი აკრავს. აგერ კარკასონი, სადაც სუყოველი მედუქნე თავისი ბებიის ცხოვრებით ცხოვრობს. მოუთხოვნელი განსაზღვრული ბედიანობა. კაცობრივი სათამაშოები, კოხტად მილაგებული ვიტრინაში.

* * *

– ბაამრავლე ფურნის ჭიები, – თქვა მამამ, – და მაგათაც გაუჩნდებათ უფლებები, სუყველასთვის საცნაური უფლებები. უცებ თავს წამოყოფენ მგრძნობელნი და დაიწყებენ სიმღერას. მერე შენთან მოვლენ და გიმღერებენ ფურნის ჭიების დიდ სევდაზე და დასაღუპად განწირულებზე.

* * *

არცვის ჩვენგანს სიკვდილის შიში არა ჰქონდა, ოღონდ სუყველას ის გვაშინებდა, რომ დაიღუპებოდა ყველაფერი, რაც კი რამ შეგვექმნა. აი, მაშინ მივხვდით: ცხოვრების აზრი ის არის, რაზეც დაიხარჯა. მებაღის სიკვდილი ხეებს არ გაახმობს, მაგრამ თუ მსხომიარე ხეს მოჭრი, მებაღეც თან გაჰყვება.

* * *

დიადი ჭეშმარიტება გადამეშალა თვალწინ. გავიგე: ადამიანები ცხოვრობენ, იმათი აზრი კი იმათსავე სახლშია. გზა, ქერის ყანა, ბოლცომი რამ უცხოს სხვადასხვაგვარად ემეტყველებიან და იმას კი სხვაგვარად, ვინც აქ დაბადებულია. სახლი ეწინააღმდეგება სივრცეს, ტრადიციები ჟამთა სვლას.

* * *

დედამიწა ალერსიანია ჩემი ფესვებისთვის. ოღონდ რტოებისთვის კი მთელი ცაა და ქარები შორი მხრით მოგერილნი, დუმილიც და მარტოობის თავისუფლებაც.

* * *

ვარდი ის კი არ არის, რომ ამომცენარდება, გაიფურჩქნება და დაჭკნება. ეს აღწერა სასკოლო სახელმძღვანელოსთვის მისწრებაა. ანალიზი აშთობს ვარდს. ვარდი თანმიმდევრულ მდგომარეობათა წყება როდია. ვარდი ოდნავ ნაღვლიანი დღესასწაულია.

* * *

ეს ქვეყანა მკვდარია, ეს მიწაც მკვდრად მეჩვენება: რაც რამ სიტკბოებას შეადგენს, ცოცხალ საგანთა სურნელი და სიმყიფე განადგურებულია.

◎ „ო, აფხაზეთო!“

ამას წინათ ახლობელთან ვიყავი წვეულებაზე. აფხაზეთიდან არიან დევნილები. რუსეთიდანაც ჩამოუვიდათ ნათესავები, რომლებმაც სოხუმის დაცემის შემდეგ დატოვეს კერია. სტუმართა შორის ორი აფხაზიც იყო – გოგო და ბიჭი, ბიძაშვილები.

რამდენიმე ჭიქის შემდეგ სუფრის წევრებს ღვინო დაეტყოთ. უსიამოვნო აზრმა გამკრა –- სისხლმა არ იფეთქოს-მეთქი. საბედნიეროდ, შევცდი. რუსლანმა, ჰო, ასე ერქვა იმ აფხაზ ჭაბუკს – ჩვენი მამები მეგობრობენ და ჩვენ სხვაგვარად მოქცევის უფლება არ გვაქვსო. სიმბოლური ყანწი გამოცალა. მერე ბიძაშვილს ანიშნა – დაიწყეო.

და მანაც აფხაზური „ვარადა“ წამოიწყო, რასაც მეგრული „ჩელა“ მოჰყვა. სხვებიც აჰყვნენ. ხმაშეწყობილი, მაგრამ სევდიანი გამოვიდა სიმღერები. სიმბოლურიც იყო – ასე მეჩვენა, ახალგაზრდები თითქოს 27 წლის წინანდელ ნაიარევში ჰანგების სალბუნებს აფენდნენ ტკივილისა და წყლულების დასაამებლად, ძმებს შორის გაჩენილი ნაპრალების ამოსავსებად.

მღეროდნენ თავდავიწყებით...

თვალცრემლიანი უფროსები მონუსხული უსმენდნენ სიცოცხლით სავსე ყმაწვილებს და კურცხლებს მიღმა ჯეელობა ახსენდებოდათ.

უნებურად გასული საუკუნის 80-იანი წლების კადრებმა გამიელვა გონებაში: ჩემი და გუმისთაში ცხოვრობდა რუსთაველის ქუჩაზე. სამუშაოს შემდეგ თანამშრომელი ქალები ხანდახან მასთან იყრიდნენ თავს. ერთხელ მეც შევესწარი ამგვარ პურობას. ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, ერთი დედმამისშვილები გეგონებოდათ...

ჩემმა დამ სუფრას ფელამუში შემოამატა. ვხედავ, საიდა, ეშხიანი აფხაზი გოგონა, რომელიც მაგიდასთან ჩემ პირდაპირ იჯდა, თეფშიდან კოვზით რაღაცას კენკავდა და ხელისგულში მალავდა. გამეღიმა, მივუახლოვდი და რას აკეთებ-მეთქი, ჩავჩურჩულე.

– შენს დას ფელამუშში კვარკვანტიები (მეგრულად – კურკანტელა) გარევია და სხვების შეუმჩნევლად მინდა მოვაშოროო, – ჩურჩულითვე მიპასუხა.

– საი, რას ამბობ, ყველაზე გემრიელი ეს არის-მეთქი, ვუთხარი.

გამომცდელად შემომხედა და კოვზს მაშინვე მისამართი შეუცვალა.

– უი, ნიგოზი ყოფილა, – გადაიტკარცალა სახეგაბადრულმა. – ასეთი რამ არასდროს მიჭამია. – მარცხენა ხელისგული პირთან მიიტანა და ერთიანად მოასუფთავა. მერე „ადესით“ სავსე ჭიქას წამოავლო ხელი, ნიგვზიან ფელამუშს გაუმარჯოსო და ბოლომდე დალია. სხვებმაც მიბაძეს.

ლოყებაფაკლებულმა წკრიალა ხმით აფხაზური ხალხური სიმღერა წამოიწყო. გოგოებიც წამოეშველნენ...

სოხუმის დაცემის შემდეგ გავიგე, იმ მძიმე დღეებში საიდას ქართველები შეუფარებია ვიწრო ბინაში...

სიყვარული არ აპატიეს...

ვაჟა დანელია

იყიდება „საქართველო“

კინოთეატრი „საქართველო“ იყიდება. მისი საწყისი ფასი 7 მილიონი ლარია. კინოთეატრი „საქართველოს“ მფლობელთა შორის ნაძალადევის ყოფილი მრავალგზის დეპუტატი მერაბ სამადაშვილია.

„2020NEWS“ კინოთეატრ „საქართველოს“ დირქტორს **ნუკრი გიგაურს** ესაუბრა. მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მესაკუთრეებმა კინოთეატრ „საქართველოს“ გაყიდვა გადაწყვიტეს.

„7 მილიონ ლარად იყიდება მთლიანად გარე (2470 კვ.მ) და შიდა (2695 კვ.მ) ტერიტორია. მე ვიცი, რომ ეს ტერიტორია კერძო საკუთრებაა. არ ვიცი, ვინ არის ჩემი უფროსი. არც ის ვიცი ხელფასს ვინ მიხდის. არ ვიცნობ არც ერთს. მე მხოლოდ დირექტორი ვარ და მირეკავენ, რომ გავყიდო ეს ტერიტორია“, – აცხადებს გიგაური.

როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერიდან ირკვევა, კინოთეატრ „საქართველოს 100%-იანი წილის მფლობელი შპს „მერიდიანი XXI“-ია.

შპს „მერიდიანი XXI“-ს 4 დამფუძნებელი ჰყავს. აქედან, ყველაზე მეტ წილს, 42%-ს კომპანია „მ.ს.“ ფლობს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი მერაბ სამადაშვილია. შპს „მერიდიანი XXI“-ში 25%-იან წილს ფლობს მისი ძმა ომარ სამადაშვილი და ჯამში კომპანიის 67 %-ის მფლობელები სამადაშვილები არიან.

მფლობელებს შორის ასევე არიან რუსეთის მოქალაქე ნოდარ გიორგაძე – 25%-ით და თბილისის საკრებულოს ყოფილი წევრი მამუკა გუგეშაშვილი – 8%-ით.

ცნობისთვის, ნაძალადევში, გურამიშვილის გამზირზე მდებარე კინოთეატრი „საქართველო“ ს/ს „ქართული ფილმის“ საკუთრება იყო, თუმცა 2007 წელს ის შპს „მერიდიანი XXI“-ს იჯარის ხელშეკრულებით, 25 წლის ვადით გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის ზაფხულში სხვადასხვა ხელშეკრულების ნიადაგზე ს/ს „ქართული ფილმის“ მიერ სხვადასხვა მფლობელზე გასხვისდა: სილნაღის კინოთეატრი, რუსთავის კინოთეატრები – „ევრია“ და „რუსთაველი“, გორის კინოთეატრი „გამარჯვება“, ახალქალაქის კინოთეატრი, ქარელის კინოთეატრი, თბილისში არსებული კინოთეატრი „ახმეტელი“ და „ამირანი“.

იმედით სავსე კაცი

რევაზ ძნელაძე-70

აკაკი შანიძესთან ერთად, 1973 წ.

ჩვენო რეზო, მას შემდეგ, რაც თბილისის დედაუნივერსიტეტში ერთად გავატარეთ სტუდენტობის საუკეთესო წლები, დიდი დრო გასულა („გაფრენილა ჩვენი ჟღალი მიმინო...“), მაგრამ მეგობრული გრძნობები არ განელებულა...

შენ ამაყი იყავი იმით, რომ ნოლაში დაიბადე, ქართული ენის კლასიკოსის, დიდი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის სოფელში.

შესანიშნავი მშობლების, პედაგოგ-ფილოლოგების — აკაკი ძნელაძის (სკოლის დირექტორი) და შუშანა ლორიას ოჯახში დაიბადე. შემდეგ სწავლა განაგრძე მახინჯაურის საშუალო სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრე.

სიამოვნებით ვიხსენებთ, თუ როგორი სიხარულით ჩაგვიყვანდი გურიის (ამჟამად სამტრედიის რაიონის) ამ ულამაზეს სოფელში, სიცოცხლითა და გურული იუმორით სავსე შენს მშობლებთან. რა დაგვავიწყებს იმ სითბოს, გულითადობას, რასაც ნოლელები გვაგებებდნენ. ისიც კარგად გვახსოვს, ჩვენი უნიჭიერესი თანაკურსელის დაზმირ (ლაშა) გახარიას ლექსებს გულჯიბით რომ ვატარებდით **(„ჩამოვალ დედი და დარდს გადაგშლი, ზურგში მიბერავს სულს მუზის ქარი, და სტიპენდიით ნაყიდ კაბაში გამომიქვითე ყველა სიზმარი“...)**

1967 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები გავხდით. სტუდენტობის დროს შენ იყავი ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოს ვარლამ თოფურიას სახელობის სტიპენდიატი, საუნივერსიტეტო, რესპუბლიკური და საერთაშორისო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე. საგულისხმოა, რომ სერიოზული მოხსენებები მოამზადე აკადემიკოსების, ცნობილი მეცნიერების აკაკი შანიძისა და შოთა ძიძიგურის ხელმძღვანელობით. მათივე რეკომენდაციით უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იქვე განაგრძე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

წლების განმავლობაში (1987-2007) იყავი თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ასევე წარმართავდი მაგისტრატურას.

2010 წლიდან დღემდე ხარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

მრავლისმომცველია შენი სალექციო კურსების თემატიკა: ახალი ქართული ენა, ქართული დიალექტოლოგია, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, მშობლიური ენის სწავლების საკითხები თანამედროვე კონცეფციით, ქართული მეტყველების კულტურის საკითხები, ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები, ლინგვოქვეყანათმცოდნეობა, აკადემიური წერა, სწავლების მეთოდები...

ხარ წიგნებისა და მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი, 50-დე წიგნის რედაქტორი და პრინციპული რეცენზენტი, სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი, ამიტომაც აგირჩიეს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრად. გვახარებს, რომ დღემდე წარმატებულად ეწევი აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. ამის მკაფიო დადასტურებაა შენი წიგნები და სტატიები გურიისა და აჭარის ტოპონიმიკაზე, მონაწილეობ სამეცნიერო კონფერენციებში.

სიამოვნებით მოვიხმობთ ზოგიერთი სტუდენტის თვალთახედვას, გულწრფელ შეფასებებს თქვენს პიროვნულ ხიბლზე: **„უნივერსიტეტში ყოფნის მეშვიდე წელს ვითვლი. ამ წლების მანძილზე უამრავი ადამიანი შემხვედრია, მაგრამ დადებითი შთაბეჭდილების მოხდენას ცოტა თუ ახერხებს. თქვენ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და პატივსაცემი ადამიანი ხართ, რომელიც ნებისმიერი ასაკის თუ პროფესიის მსმენელის ყურადღებას იქცევს აუდიტორიაში, სტუდენტებს უნარჩუნებს მუდმივ ინტერესს საკუთარი საგნის მიმართ, იპოვონ მასში რაიმე ახალი. ბატონო რეზო, გისურვებთ, რომ არასდროს დაკარგოთ იუმორის გრძნობა და აუდიტორიის ყურადღება, აუდიტორიისა, რომელსაც ავსებთ პოზიტივით და სიყვარულით“** (ანა რატიანი — არქიტექტორი.02.02.2020).

„რევაზ ძნელაძის აუდიტორია ადამიანური სითბოთი და კეთილგანწყობით გამთბარი ადგილი იყო, სადაც მისვლა ყველას გვიხაროდა... მან გააკეთა ყველაზე დიდი, რაც კი პედაგოგს შეეძლო გაეკეთებინა: მან დოქტორანტებს გაგვინათა გზა ერთობისკენ, ურთიერთდაფასებისკენ, ურთიერთგაფრთხილებისა და მეცნიერული კვლევებისკენ!“ (ქ.სოლომონიშვილი).

„მას აქვს აუდიტორიასთან მომნუსხველი ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება და თანდაყოლილი ნიჭი, რომელიც დღევანდელ დღეს არც თუ ისე ბევრ ლექტორს გააჩნია, სამწუხაროდ“.

ყოველივ ეს ჯეროვანი დაფასებაა შენი პედაგოგიური და ადამიანური ღვაწლისა!

ჩვენო რეზო!

შენ ახალგაზრდული ენერგიით შედიხარ სიჭარმაგეში,ხალისიანი და იმედიანი კაცი ხარ. იცი მეგობრობის ყადრი. რა უნდა გისურვოთ იმაზე უკეთ, ვიდრე თავად მიმართე ამას წინათ ასევე ჩვენს სახელოვან თანაკურსელს, მესხეთის უნივერსიტეტის დაარსების ინიციატორსა და პირველ რექტორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს წერილში „დეტალებში განედლებული მოგონებები“: **ფიქრი და ოცნება დიდხანს გულით არ გეტარებინოს,უმალ რეალობად გექციოს იგი!“**

შენც რეალობად გექციოს შენი დიდებული ოჯახისა და მეგობრების ოცნებები და... უნივერსიტეტში შენი გზის დამლოცველი და აღმზრდელი ნოლელი პატრიარქივით, მართლაც ლეგენდარული აკაკი შანიძესავით 101 წელიწადი გეცხოვროს!

თანაკურსელთა სახელით

ვალერი ასათიანი, სპარტაკ ქოჩულია.

მეგობარი პროფესორები: დავით გოცირიძე (მარცხნიდან), გურამ გვენეტაძე, თემურ ჯაგოდნიშვილი, რევაზ ძნელაძე.

ვერდის უკვდავი „დონ კარლოსის“ ბათუმურ-მანჰაიმური პროექტი

2019 წელს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრსა და მანჰაიმის (გერმანია) ნაციონალურ თეატრს შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში იწყება მუშაობა გრანდიოზულ საოპერო პროექტზე, რომელიც გულისხმობს მანჰაიმის ნაციონალური თეატრის მიერ დადგმული ცნობილი, საყოველთაოდ აღიარებული საოპერო წარმოდგენის, ჯუზეპე ვერდის „დონ კარლოსის“ დადგმას ბათუმის ხელოვნების ცენტრის სცენაზე. აღნიშნული ოპერის პრემიერა ბათუმში 2021 წლის მაისისთვის არის დაგეგმილი.



პროექტი მოიცავს საოპერო სპექტაკლის სცენოგრაფიისა და კოსტიუმების უსასყიდლოდ გადმოცემას და დადგმის სრულად გადმონაცვლებას ბათუმის ხელოვნების ცენტრის სცენაზე. მოქმედი პირები კი, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სოლისტები, სიმფონიური ორკესტრი და კაპელა იქნება.

მემორანდუმი გაცვლითი ხასიათისაა და ითვალისწინებს, როგორც მანჰაიმის ნაციონალური თეატრის სოლისტების მონაწილეობას ამ პროექტში, ასევე ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სოლისტისა და დირიჟორის მონაწილეობას მანჰაიმის ნაციონალურ თეატრში.

ასეთი ურთიერთთანამშრომლობის ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობი არის ცნობილი ქართველი ტენორი **ირაკლი კახიძე**, რომელიც აგერ უკვე ოთხი წელიწადია, დიდი წარმატებით მოღვაწეობს მანჰაიმის ნაციონალურ თეატრში.

აღნიშნული პროექტის საპრეზენტაციოდ 20 თებერვალს ბათუმს საგანგებოდ ეწვევიან: **ალბრეჰტ პულმანი** (მანჰაიმის ნაციონალური თეატრის ინტენდანტი), **მარვინ ვენდტი** (მანჰაიმის ნაციონალური თეატრის საოპერო დირექტორი), **ირაკლი კახიძე** (მანჰაიმის ნაციონალური თეატრის წამყვანი სოლისტი).

21 თებერვალს, 13 საათზე, სასტუმროში **„ო. გალოგრე“** (მისამართი: ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. №8) გაიმართება პრესკონფერენცია, რომელშიც სტუმრებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ — **გიორგი მიქელაძე** (ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის დირექტორი), **მარიამ ჯახუტაშვილი** (ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი), **დავით მუქერია** (ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 14 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ამერიკის ომის კოლეჯის პროფესორის, გადამდგარი პოლკოვნიკის რობერტ ჰამილტონის ინტერვიუ „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტთან, რომელმაც თავისი უშუალობით და პირდაპირობით შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ნატოში გაწევრების სურვილით შეპყრობილ მკითხველზე.

ჰამილტონი პირველი არ არის, ვინც საქართველოს ნატოში გაწევრებაზე მსჯელობს. მასზე მაღალი თანამდებობის და სამხედრო ჩინის მატარებელ ამერიკელებს უსაუბრიათ ამ თემაზე, მაგრამ პირდაპირობით, მიკიბ-მოკიბვისა და რევერანსების გარეშე მხოლოდ აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ „გაგვახარა“ – „საქართველო ვერ გახდება ნატოს წევრი, უახლოეს მომავალში და შემდგომ“.

ოპოზიციამ საქართველო ჩაუშვა...

ჰამილტონის ინტერვიუმ მაინც ჩაგვაფიქროს!

ბაცვლის თუ არა თურქეთი საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდაჭერას რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობის გასაუმჯობესებლად? ასევე, ამერიკის კონგრესში ქვეყნის მეგობრები იცხადებენ, რომ საქართველოს მთავრობამ დემოკრატიული რეფორმების გაგარება სერიოზულად უნდა აღიქვას. როგორც წარმომადგენელთა პალატიდან, ასევე სენატის კვლევნანი საგარეო საქმეთა კომიტეტიდან, პრემიერ-მინისტრ ეირონი გახარიას რამდენიმე წერილი გაუგზავნეს, რომლებშიც საქართველოში დემოკრატიულ უკუსვლამე საუბრობდნენ. რა უნდა გაკეთოს თბილისმა ვაშინგტონის მხარდაჭერის შესანარჩუნებლად და რა არის არსებული მიმეე მდგომარეობიდან გამოსავალი? ამ და სხვა კითხვებით ამერიკის ომის კოლეჯის პროფესორს, არმიის გადამდგარ პოლკოვნიკ რობერტ ჰამილტონს „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტმა მიმართა.

რობერტ ჰამილტონი:

ყველაზე ცუდი სცენარი აშშ-ის მხრიდან საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდაჭერის შეწყვეტა იქნება!..

– პატრონო რობერტ, ცოტა ხნის წინათ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მეელეთ ჩავუსოლლუმ დავოსში ერთ-ერთი შეხვედრის დროს, სასიამოვნოდ მოუღიდნელი საჯაორო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ დასავლეთმა საქართველო ნატოში უნდა მიიწვიოს და რომ რუსეთის ეგალუზიანებიანებ- ... ქვეყნის დაცვა – ხომ არ არის ეს დისკუსია, რომელსაც მოკავშირეები ითვალისწინებენ?

– ახლა 29 და მალე 30 წევრიდან, ცალკე აღებული ნატოს არც ერთი მოკავშირე, გარდა შეერთებული შტატებისა, რუსეთისგან სრულად დაცული არ არის. სხორედ ესაა კოლექტიური თავდაცვა ... ლებიც 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დეკლარაციას ერთგულებას უცხადებს. საქართველო ნატოს ნამდვილად ეახლოვდება. დაიწყო რამდენიმე ახალი ფრონტი ... საქართველო იყო. ეს დასმარება უკვე წლების მანძილზე გრძელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციასა და კონგრესში საქართველოს მიმართ ძლიერი მხარდაჭერა არსებობს.

– რა არის ყველაზე ცუდი სცენარი, რაც შეიძლება განვიხილოთ? ვთქვათ, სიტუაცია არ შეიცვალა. საქართველოს მთავრობა სხორედ ამას აკეთებს. ვაშინგტონში ახლაც იმყოფება ოფიციალური დელეგაცია, რომელიც სხორედ ამას აკეთებს, რასაც თქვენ ამბობთ. შეხვედრებს მართავს ამ წერილების ავტორებთან და საგარეოდოდ, იმაზე ესაუბრება მათ, რომ მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც მათ ოფიციალურად ან არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიხდეთ ხმა. იმ შეხვედრებში, თუ არ გამოიკვეთა პრაქტიკული პროგრესი და არ შეხორცდა დაარღვები, რა არის ყველაზე ცუდი შედეგი, რაც შეიძლება დადგეს?

– ეს კარგი კითხვაა. ყველაზე მძიმე შედეგი, რაც შეიძლება დადგეს დემოკრატიული უკუსვლის შემთხვევაში, ისაა, რომ საქართველოს შეიძლება შეუფიცარდეს ან შეუნყდეს ზოგიერთი დახმარება, რომლისაც ამერიკა საქართველოს უკვე ათწლეულებია, უგზიანის. ან შეიძლება დახმარების ... ტონის პასუხი არცთუ დამაიმედებელია: „ნატოს არც ერთი მოკავშირე, გარდა აშშ-სა, რუსეთისგან სრულიად დაცული არ არის. მნიშვნელოვანია იმის გამეორება, რომ ნატოს არც ერთ წევრს არ შეუძლია რუსეთის წინააღმდეგ თავი დამოუკიდებლად დაიცვას. თუ საქართველო ნატოს წევრი გახდა, კონფლიქტის შემთხვევაში, ნატო მოულოდნელ იერიშს ვერ მოიგერიებს, მაგრამ ძალების მობილიზაციის შემდეგ გადავა კონტრშეტევაზე და რუსულ ჯარს უკან დაახევინებს“.

ჰამილტონის რჩევით, საქართველოსთვის აუცილებელია რუსული თავდასხმის წინააღმდეგ გამძლეობის შემუშავება, რაც არა მარტო სამხედრო გამძლეობაა, არამედ საინფორმაციო, ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი მარაგის მობილიზაციაც.

ინტერვიუ ისეა აწყობილი, რომ რუსეთთან ომის გარდა სხვა გზა არ მოიაზრება. არადა, მხოლოდ ომზე, აგრესიაზე და მუდმივ სტრესულ ვითარებაზე ფიქრი ქვეყანას წელში გაწყვეტს. მარტო სამხედრო საქმეში დახარჯული მილიონები რად ღირს?!

სამწუხაროდ, აშშ-ის პოლიტიკოსებსა და ექსპერტობაში ჭარბობენ ისინი, ვინც საქართველო-რუსეთს შორის მუდმივი დაძაბულობის მომხრეა, ცხადია შეფარულად, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც რა ხანია, გვეუბნებიან, რომ რუსეთთან დიალოგი უნდა დავიწყოთ, თუმცა მათ საქართველოს თითქმის ყველა ხელისუფლება ეუარებოდა და იზიარებდა ე.წ. „ქორების“ აზრს.

ჰამილტონის მიერ ნახსენები „გამძლეობა“ – ე.ი. რუსეთთან ომის შემთხვევაში საქართველოს ჯარმა უნდა გაუძლოს რუსეთის შემოტევას მანამ, ვიდრე ნატო გამოჩნდება, სიტყვის მასალაა და მეტი არაფერი. ვეჭვობ, რომ თბილისიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებული რუსული ჯარი კუს ნაბიჯით ივლის თბილისის ასაღებად ან რუსეთის სარაკეტო შეტევა საათებში გაიწელება.

საქართველოს პოლიტიკამ უნდა შეიგნოს, რომ ანტირუსული გამოხდომები, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე შეყენება არა მარტო წამგებიანია ხარჯების თვალსაზრისით, არამედ თრგუნავს ერს და მუდმივი შიშით დაავადებულს ხდის. ავადმყოფი მოსახლეობა კი აღმშენებლობით არ გამოირჩევა.

ჰამილტონმა ბუქარესტის 2008 წლის აპრილის სამიტიც გაიხსენა, როდესაც აშშ მხარს უჭერდა სამოქმედო გეგმის მიღებას, მაგრამ ვერ დაიყოლია ნატოს სხვა წევრები, რომლებიც რუსეთის გამო, უიმედოდ უყურებდნენ საქართველოს ნატოში შესვლას.

მას შემდეგ იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, საქართველოს ნაცური ხელისუფლების ნეგატიური მოქმედება, როგორც შინ, ისე გარეთ, ციხის კადრები და სხვა მრავალი, რამაც სერიოზულად შეუყენა წყალი საქართველოს ნატოში გაწევრების იდეას, თუმცა მაშინდელი ხელისუფლება – დღევანდელი ოპოზიცია, დაბეჯითებით ქადაგებს, რომ ივანიშვილმა და „ოცნებამ“ ლამის 180 გრადუსით შეაბრუნა ქვეყნის ევროატლანტიკური კურსი და რუსეთისკენ აიღო გეზი.

„ნაციონალური მოძრაობა“ და მისი განშტოებები მოსვენებას არ აძლევენ დასავლელ პალიტიკოსებს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული „ანტიდასავლური, პრორუსული“ პოლიტიკის გამო. შედეგიც აშკარაა – ამერიკელი კონგრესმენების მიერ საქართველოს ხელისუფალთა მისამართით გამოგზავნილი ნეგატიური წერილები, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, აშშ-ის მხრიდან საქართველოს მიმართ პოლიტიკის გამკაცრების თაობაზე, თუ ხელისუფლება სასწრაფოდ არ შეცვლის დამოკიდებულებას არჩევნების და ოპოზიციის მიმართ.

ოპოზიციამ იმდენს მიაღწია, რომ სასწორზე შემოდო ვაშინგტონის მხარდაჭერა „არადემოკრატი“ საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. ოპოზიციის ძალისხმევით ნატო სულ უფრო შორდება საქართველოს და თუ წინათ დასავლეთს უჭირდა საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან მიმართვაზე – რატომ არ აწევრებენ საქართველოს ნატოში, პასუხის გაცემა, დღეს კარგად გრძნობს თავს და თითის ქნევით გვახსენებს იმ მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაზეც ჰამილტონი საუბრობს თავის ინტერვიუში.

ოპოზიციამ მოახერხა დღევანდელი ხელისუფლების ჩაშვება, მაგრამ ამასთანავე მან საქართველოც ჩაუშვა.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

მაშინ საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ და საზოგადოებამ – ნატოში შესვლის სურვილით დამუხტულმა, ერთ ყურში შეუშვეს და მეორიდან გამოუშვეს ნატოს ლიდერის, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ ნათქვამი არასასიამოვნო განცხადება და ვითომც არაფერიო – გაგრძელეს ნაცადი გზა ტყუილი დაპირებებისა, რომ საქართველოს დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად გააწევრებენ ნატოში; რომ ჩვენი შეიარაღებული ძალები წარმატებით ასრულებს ყველა იმ საშინაო დავალებას, რასაც ბრიუსელი გვაძლევს; რომ სამხედრო კონტინგენტი, რომელიც ავღანეთში ებრძვის ტერორიზმს, წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ა.შ.

სულ ახლახან მიუნხენის 56-ე კონფერენციაში მონაწილე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ზალკალიანმა კიდევ ერთხელ დაგვაიმედა ნატოში შესვლასთან დაკავშირებით შემდეგი სიტყვებით: **„საკითხი გადაწყვეტილია, მხოლოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო წევრი ქვეყნების მხრიდან“.**

მაგრამ ჰამილტონის განცხადებიდან გამომდინარე არც ასეა საქმე: **„თუ ამერიკამ გადაწყვიტა, რომ საქართველო დემოკრატიულ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, როგორიცაა, მაგალითად, გამჭვირვალობა, ანტიკორუფციული რეფორმები, კარგი მმართველობა, რაც ასევე საჭიროა ნატოში გასაწევრებად – შეიძლება საქართველოს ნატოში გაწევრების მხარდაჭერა შემცირდეს“.**

ჰამილტონს არ უსაუბრია მთავარზე, ურომლისოდაც ნატოს კარი არ გაიღება ჩვენთვის, ვინაიდან ჩათვალა, რომ ნატოს წესდება ყველამ კარგად ვიცით. ჰამილტონის მიერ ჩამოთვლილ საკითხებს შეხსენებისთვის უნდა დაემატოს მთავარი – ქვეყანას, რომელსაც დარღვეული აქვს ტერიტორიული მთლიანობა და მეზობლებთან არა აქვს საზღვრები დადგენილი, ნატოში ვერ გაწევრდება, ვინაიდან ნატოს 30 წევრიდან არც ერთი საკუთარ თავს პრობლემებს არ შეუქმნის საქართველოს მოუწესრიგებელი ტერიტორიული პრობლემების გამო.

ჰამილტონი თავს ობამას მსგავსი ხისტი განცხადების გაკეთების უფლებას არ მისცემდა, თუმცა მის მიერ ჩამოთვლილი იმ საკითხების შეუსრულებლობა, რასაც ვაშინგტონი მოითხოვს, არაფრით ჩამორჩება ობამას ნათქვამს. ჰამილტონი, როგორც ყოფილი დიპლომატი (ის საქართველოში აშშ-ის საელჩოში მუშაობდა), თავაზიანად შეგვახსენებს მთელ რიგ საკითხებს, რომლებშიც ვაშინგტონი შეფერხებებს ხედავს. მაგალითად ავიღოთ „კარგი მმართველობა“ უფრო ზუსტად, კარგი მმართველობის არქონა. საქართველო რომ მოიკოჭლებს, ამ მხრივ ახალი რამაა ჩვენთვის? და არა მარტო ჩვენთვის, არამედ საქართველოში აკრედიტებული აშშ-ის საელჩოსთვის, აქ მომუშავე სხვა ამერიკული ორგანიზაციებისთვის?

ხელისუფლების არაპროფესიონალიზმზე თითქმის ყოველდღე იწერება და ითქმება საქართველოს ბეჭდვით თუ ელექტრონულ მედიაში. დავუმატოთ ამას ოპოზიციის და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან აშშ-ის საელჩოს მუდმივი ინფორმირება (დასმენა) ამ და სხვა საკითხებზე, და მივიღებ იმას, რასაც ამ თემებზე ჰამილტონის ყურადღების შეჩერება ჰქვია.

საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, მათ შორის ხელისუფლებას რატომღაც მიაჩნია, რომ ქართულ ჯარში რეფორმების ჩატარება, ჯარის ნატოს სტანდარტებამდე აყვანა, ავღანეთში ყოფნა, ნატოს სამხედრო მანევრების ჩატარება და სხვა საკმარისია ნატოში გასაწევრებლად. არამც და არამც, ეს ყველაფერი აუცილებელია და მასთან ერთად დემოკრატიული განვითარება, ეკონომიკური მდგომარეობა, ადამიანის უფლებების დაცვა, გამართული საარჩევნო სისტემა, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება და სხვა მრავალი.

„პოსტსაბჭოთა სივრცეში არჩევნების გზით მოდიან მთავრობები და დროთა განმავლობაში სახელმწიფო რესურსს იყენებენ იმისთვის, რომ ხელისუფლებაში დარჩნენ. ისინი ასევე უფრო და უფრო მიუღებელი ხდებიან ლეგიტიმური ოპოზიციის მიმართ. ამის მაგალითები ვნახეთ როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის დროს, ასევე ვხედავთ „ქართული ოცნების“ მმართველობის დროსაც.“ – აცხადებს ჰამილტონი.

რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკას, მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, ვერ ვიტყვით, რომ საქართველო ნატოს თუნდაც „ჩამორჩენილ“ ქვეყანას უტოლდებოდეს. თვალი გადავავლოთ ერთიანი ეროვნული პროდუქტის წარმოებით ანდა მინიმალური, ხელფასების თვალსაზრისით შემდეგ მონაცემებს. ა.წ. იანვარში ყველაზე მინიმალური ხელფასი ევროკავშირში და ნატოში ბულგარეთში დადასტურდა – 312 ევრო. ლატვიაში იყო 430 ევრო, რუმინეთში – 466, უნგრეთში – 487, ესტონეთში – 584, ლიტვაში – 607, პოლონეთში – 611, პორტუგალიაში – 741, საბერძნეთში – 758, მალტაზე – 777, სლოვენიაში – 941, ესპანეთში – 1050, საფრანგეთში – 1539, გერმანიაში – 1584, ნიდერლანდებში – 1636, ირლანდიაში – 1636, ბელგიაში – 1594, ლუქსემბურგში – 2142. ცნობისთვის, აშშ-ი – 1119.

ნატოსთვის ისე როგორც ევროკავშირისთვის ქვეყნის ეკონომიკურ-ფინანსურ-სოციალური მდგომარეობა რომ მნიშვნელოვანი რამ არის, ფაქტია. სამწუხაროდ, საქართველო ამ თვალსაზრისით რომ ჩამორჩება და თანაც საგრძნობლად ამ ორგანიზაციების წევრებს, ესეც ფაქტია. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ჰამილტონი.

დავუშვათ, ბრიუსელმა და ვაშინგტონმა თვალი დახუჭეს აღნიშნულზე და საქართველო გააწევრეს ნატოში, გადაიხდის ქვეყანა ბიუჯეტის 2% ნატოს წევრობაში? იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ სხვა წევრი სახელმწიფოები, მაგალითად აშშ, გადაგვიხდის ნატოს საწევროს?

რაღაც არ მახსოვს მსგავსი ხელგაშლილობა ვაშინგტონის მხრიდან, როდესაც საქართველომ საწევროს გადაუხდელობის გამო ხმის უფლება დაკარგა გაეროში.

საქართველოს პოლიტიკა ზედაპირულად ეკიდება ნატოს იმ მოთხოვნებს, რომელიც ეკონომიკასთან, ქვეყნის სწორ მართვასთან, საფინანსო პოლიტიკასთან, დემოკრატიის დახვეწასთან, არჩევნების გამართულ ჩატარებასთან არის დაკავშირებული. ის თვლის, რომ ჯარის მიერ ნატოს სტანდარტების დაცვაა რად, ფინანსურად ისეთი წარმატებული სახელმწიფოა, ევროკავშირის და ნატოს წევრ ბევრ ქვეყანას, თანაც ერთად აღებულს, რომ ჯიბეში ჩაისვამს.

საქართველოსთვის უმთავრესი ნატოში და ევროკავშირში გაწევრებაზე ლაპარაკი და ძალისხმევა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, ისეთი ნაწარმის წარმოება, მსოფლიო ბაზარზე რომ კონკურენციას გაუძლებდა. ასეთს აღარ დაჭირდებოდა ხვეწნა, ნატოში მიმიღეთო, პირიქით, როგორც ფინეთს, ისე დაგვიწყებდნენ ხვეწნას, შემოდითო.

ჰამილტონის ინტერვიუში ბევრი სხვაც არის საყურადღებო, მაგალითად თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩავუშოღლუს განცხადება – ნატომ საქართველო თავის რიგებში უნდა მიიწვიოსო. მინისტრის განცხადება იმდენად საქართველოს ინტერესების დასაკმაყოფილებლად არ იყო ნათქვამი, რამდენადაც საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, რომ თურქეთი, მოარული ხმების მიუხედავად, ნატოს დატოვებას არ აპირებს, რჩება ამ ორგანიზაციაში და უფრო მეტიც, მიესალმება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას – საქართველოს ნატოში შეყვანით.

თურქეთი ნატოს ჯიუტი წევრია – ისეთი, რომელიც ნატოს სტანდარტების შეუფერებელ C-400 ანტისარაკეტო რუსულ იარაღს ყიდულობს, რითაც ნერვებს უშლის არა მარტო ბრიუსელს, არამედ ვაშინგტონსაც. გარდა ამისა, თურქეთის, როგორც ნატოს წევრის, საქართველოს ჯარზე გავლენა გაათმაგდება, თუკი საქართველო ნატოს წევრი გახდება.

ყურში მომხვდა ჰამილტონის შემდეგი ნათქვამიც: „პატარა ქვეყნებმა, რომლებსაც დიდი მეზობლები ჰყავს, ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ შეიძლება ვინმემ სავაჭრო თემად გამოიყენოს“. ჟურნალისტ ია შეურმიშვილის შეკითხვაზე – რამდენად დაცვადია საქართველო სამხედრო თვალსაზრისით და დახმარების აღმოჩენის სურვილის შემთხვევაში, რამდენად სწრაფად შეუძლია ალიანსს საქართველოს სამხედრო დახმარება – ჰამილ-

დილარ ივარდავა

კოლხი იყავი, დარჩები კოლხად

საგა ფშავლებსა და ხევსურებს

გიგი ხორნაულს



ყველა ფშაველი, ხევსური –
ყრმა თუ ასაკში შესული
არად აგდებდა სიკვდილს?
თითქოს ცეკვაა ფერხულის
სინამდვილეთა იქით!
მთელი არსებით, ფიქრით
ნათელ სულეთში მიქრის!
ხატ-ლოცვით ფეხებადგმული –
ადათ-წესებით ქართულით,
მამულისათვის დაგული!
მათ უღალატო გული აქვთ,
სისხლი – არაგვი დგაფუნა,
დასაბამიდან უვლიათ
მხოლოდ და მხოლოდ ქართულად!
რაც დედამიწა ბრუნავს,
რაც მზე ბარჩხალებს ცაზე,
ამ ჭიუხ-მთებზე ზრუნავს,
ეტრფის ღვთის სილამაზეს!
დათვს დატორავს და... გმირია,
ელაციცება ვარდებს!
უვადოდ შენაწირია
ტაძარსა შიგან ნათელს!
უღალატოა ძმობაში,
მოძმეს ფათერაკს არიდებს
და აკვესებულ გორდაში
წინ წარუძღვება რაინდებს!
სამშობლოს არვის წაართმევს,
იცავს თავის ჯიშს, ღირსებას –
ღამე – მთვარისფრად ანათებს, –
ცისკრის არილით ივსება!
ფშავურ-ხევსურულ კაფიას
ატოტავს ცეკვის ქარბუქით
მეხზე მალი და მძაფრია
უზადო ვნების ჭაბუკი!

* * *

ნავლდება მწუხრის უღონო სხივი,
საკურთხეველში კრთება სანთელი,
ნათელმყვეს ღირსად ღვთაებრივ
ხილვის,
რომ მოვისმინო გულის სათქმელი!
ზოგჯერ ცივდება თურმე კალმახიც –
თქმულა ნუგეშად დალახრულ კაცთა,
საბრალოდ რჩება მუდამ წარმართი
ქრისტიანული თუ არ აქვს განცდა.
სულში გროვდება კვამლის ფატუმი,
დაფუძნებული ავდარს და ლელმას,
ბრმას ვემსგავსები ხელის ფათურით –
დაგეძებ, მაგრამ გპოულობ ვეღარ!
ნაღვლიან სევდის წვა-ხადილობას
შერწყმულხარ მჭიდროდ – მწუხრის
კაეშნით,
დარდით მოვარდნილ
ჟამთწყალდიდობას
ჰყავხარ ტუსაღად სიმწუხარეში.

ჩემი ოთხმოცის ყულფში

თავი რვიანის ყულფში გავყავი,
იწყეს ამაზე გნიას-წკავწკავი:
– მალე დაგრჩება მანდვე ეგ ტყავი,
მითხრეს:
– არა ხარ ძამა, ვარსკვლავი!
მაინც არა გჭირს თავმოსაკლავი,
ხომ იფართხალე შესძლებისგვარად,
გადარჩენილო ათასგვარ წკვარამს?
ძირში მოთელილს არ ჰგავხარ, არა!
რა ლოდიც ზიდე, ერთისთვის კმარა!
ისე კოლხეთში ყოფა ძვირდება,
დიდი ხანია, მზეც იყიდება,
მეგრი აწ როდის გამობრწყინდება,
შთანთქა ღრუბელმა მისი დიდება!
ისე კი გვამცნეს ფოლიანტებმა,
სიძველის განცდა არ იბინდება!
ჟამი დგას ჩვენი გაუცხოების,
თაღლით-გაქნილთა ქარტეხილების,
მაგრამ წესია თურმე ცხოვრების –
საგანი გავხდეთ ბოლოს მხილების!
მადლობა უფალს!
გამოაღწიე
ალიაქოთს და დავიდარაბას,
ძირს არ დაუშვი,
მაღლა ასწიე
ტვირთი, რომელიც ზიდა არაბამ!
ტახის ეშვებზე შემდგარი დროშა
ისევ შრიალებს –
ოხვრითაც ოხრავს...
აპოკალიფსურ საშინელ დროსაც
კოლხი იყავი!..
დარჩები კოლხად!

21-ე საუკუნის რუსეთი

დათვსაც მოჰგავს და
მკერდჭრელ მორიელს,
მან ბოროტება შეისისხლხორცა,
გადაამეტა მგონი ორივეს,
პატარა ერებს ბუზივით ხოცავს!
სიფათს უმშვენებს ღრჯონი უცვეთი –
მეფისტოფელის მღვრიე თვალებით,
აფრაკად ქმნილა მთელი რუსეთი,
გადავსებულა კანიბალებით!
და განა მარტო სიძვა-მრუშობა?
სისხლისმსმელი ჰყავს მომავლის
მოდგმაც,
გენი დაუნთა – პუტინ-ხრუშჩოვთა
საკუთარ თესლის ნაყოფს არ ზოგავს!
გაბოროტდა და...
მხეცზე სასტიკმა
თავისუფლების ნასახიც დახრა,
დღეს ჰიტლერელთა ყოფის სვასტიკა
მისი ოცნების სიმბოლო გახდა!

გიჟის ხალათიანი

– Бей жидов и не забывой грузин
– ჟიდებთან ერთად დასცხეთ
ქართველებს! –
აი, ლოზუნგი დღეის რუსების!
ასე აღამებს,
ასე ათენებს,
შურის და ღვარძლის ხალხი – უცვეთი!
პაჭანაკთა და სკვითთა საუფლოს
ეშმაკის სული ჩასახლებულა,
დათვი ფაშისტის დუჟით საუბრობს,
მხეცის მირონის მადლით ცხებულა!
საგილიოტინოდ უჩანს დუნიას
ერი – მაცილად გარდასახული,
ასქესებულ და გარყვნილ მურიანს
აბანერებენ:
– Иди на хуй!-ით!
გიჟის ხალათი ჩაუცვამს რუსეთს –
სულ გაპუტინდა, გაჟირინოვსკდა,
ვისაც სწამს მისი, სჯერა ან უსმენს,
მსოფლიოს თვალში ისიც კი მოკვდა!

ლოდინის განცდა

სიბერეა ჩემი ტყუპისცალი!
განსაცდელი,
საზღაური ხვალის;
სხვას არ ვამბობ,
მიჯიქდება მკლავი,
ჟამი მახრჩობს ერთობ გულსაკლავი!
მხრებზე მაწევს სამამულო ვალი,
ყოფის წისქვილს დაშრობია ღარი!
მზად აქვს მნათეს
დასარეკად ზარი!
ვგრძნობ, უფალი მარილისთვის
მგზავნის;
განიხვნება სამუდამო კარი,
შეიკვრება ჩემთვის ყველა რკალი,
მომლოდინე მარტო ძალზე მწარის!

თითო ტაეპიანები

კოლხეთს

მარტო ჭაობად ხრჩოლავდი განა?
ოქროს საწმისად მზეზე ბრწყინავდი, –
ო, ცის ღვთაებავ, გრძნეულო ნანავ,
შე მნათთა მნათო,
ხსოვნავ, წინაპრის!

* * *

ოღრო-ჩოღრო შუკის ენას
აჰყვა ლურჯა თოხარიკით, –
ღმერთმა ისე შემაჩვენა, –
რასაც ვთესავ – ვეღარ ვიმკი!

* * *

აქვითქვითდა ყანად მწყერი,
როცა გაილეწა ქერი,
კოინდარზე ქარვის ფერი
ნამის კრინით მიიმღერის!

* * *

წყაროს ჩქერმა გაიელვა
ჩითილების ხსნად და შველად,
მისან ჭანებს მიჰყავთ ველად
ფეხშიშველა ცისარტყელა!

* * *

ცაზე გართხმულ ბეჭდად ივლის,
ასე ივლის ივნისს, ივლისს,
აციაგებს მთვარე თბილისს
უცხო ფერით ყარამფილის!

* * *

იდგა თებერვლის ნიაღვრის ღრენა
აჭორებული მარტის კარებთან,
სულ გადმოეგდო რუხის წყალს ენა
და ხიდებს მკერდზე არ იკარებდა!

ყოველწამიერ მეწევი ცისკენ!

იდუმალებავ, უჩინარ დღეთა
ნათელ ტაძარში სანთლებად ღვენთავ,
ქალი კი არა, იყავი ღმერთა
და ცისარტყველა –
აღლუმი ფერთა!
იყავი ჩანჩქერს მოსხლეტა ჩქერის –
სული ფიფქივით გვქონდა კრიალა,
იყავი-მეთქი, ვტირი და ვმღერი
უშენობამ კი გამატიალა!
თუმც ეს რას ვამბობ –
არა ხარ, როგორ–
შენი ხმის ბგერებს მუსიკად ვკონავ,
კვლავ დარჩენილო შენ, ჩემთვის გოგოდ,
რომელსაც არ აქვს ფასი და წონა!
ყოველ ცისმარე გესაუბრები,
ჟამს მიმწუხრისა მამხნევებ ისევ,
არგაგონილი სევდის უფლებით
ყოველწამიერ მეწევი ცისკენ!
შენ ცაშიც ხარ და მიწაში ამ დროს,
შენ მიჩახჩახებ მბჟუტავ გონებას, –
შენზე დამთმობი, სათნო და სანდო
აწი, არავინ არ მეყოლება!

როცა ლექსიც იბრძვის

ორი მუნასიბი

ეგებ მართლა ჩამოხვიდეთ!

ადრე გვყავდა ჯიქურები,*
მესტუმრეთა ჯიხურებით,
დღეს გვყავს სეთურ-სანიათა
ბინძურ ენატანიათა
და მათ ყბაში, ვაი, მართალს!
მათ იციან, ვისთვის რად „სჯობს“,
თუ გინება გარეთ გავა,
და წივიან გულსაკლავად.
არა ქვეყნის სამსახური,
მახვშის სკამი უნდათ გულით
და რაც თვალი გამოჭყიტეს,
სულ ყიდიან საქართველოს
და სურთ, ბოლოდ მოირთველონ,
რაც აქამდე ვერ გაყიდეს!
ეგებ, მართლა ჩამოხვიდეთ,
მოვლა უნდა ძმობის ხიდებს,
რომ დამსმენმა ვერ იქაჯოს...
მსაჯულმა რომ იმსაჯულოს,
მსაჯმა სწორად რომ იმსაჯოს,
სხვის მონათხრობს ნახვა არ სჯობს?!

* **მესტუმრე ჯიქურმა** მომხვდურთა ენა იცოდა და დედოფალ ჯიგდახათუნის გარდაცვალებადე ფაქტობრივად ქვეყანას განაგებდა.

მოდიან, უკვე მოდიან!

ცილისწამების დარიშხანს
და ჭიქა წყალში ქარიშხალს
ენაჭარტალას რუპორი
ახლა რა ახსნას უპოვის?
სიცრუის ხმალს რომ ებასრა,
გიჟი ცდილობდა, ებაზრა,
მაგრამ მივუშვით ნებას და
თვით შეეყარა სნებასა.
თანაც ზღაპარი როდია,
რაც მართლა ღირდა ლოდინად:
ევროსაბჭოდან მოდიან,
დიაგნოზისთვის მოდიან!

ალექსანდრე შენგელია
(ქუთაისი)

არც ერთი ქვეყანა არ იცავს საკუთარი ბავშვების ჯანმრთელობას!

არც ერთი ქვეყანა მსოფლიოში არ აკეთებს საკმარისს იმისთვის, რომ დაიცვას საკუთარი ბავშვები, – ამის შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და იუნისეფის ექსპერტების საერთო კვლევაშია ნათქვამი, რომელიც გაერომ დაუკვეთა.

განცხადების თანახმად, მსოფლიოს ყველა ბავშვის მომავალი რისკის შემცველია, რადგან არ ხდება კლიმატური ცვლილებების ეფექტების აღმოფხვრა და მათ არ აქვთ ხელმისაწვდომობა სუფთა და ჯანმრთელი გარემოსადმი, რაც კეთილდღეობისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

მოხსენებაში ასევე საუბარია, რომ ბავშვებს საფრთხე მავნე მარკეტინგითაც ემუქრებათ, რომელიც ცხიმის და შაქრის შემცველ პროდუქტებს, თამბაქოსა და ალკოჰოლს უწევს კამპანიას.

„კლიმატური ცვლილებები, ეკოლოგიური დეგრადაცია, მიგრაცია, კონფლიქტები, უთანასწორობა და მტაცებლური კომერციული პრაქტიკა საფრთხეს უქმნის ბავშვების ჯანმრთელობასა და მომავალს ყველა ქვეყანაში“, – ნათქვამია მოხსენებაში.

◎ კარატე

იაპონიის მისადგომებთან



დუბაიში კარატისტთა პრემიერლიგის მორიგი ორთაბრძოლები გაიმართა. შეჯიბრებაში საქართველოდან სამი სპორტსმენი მონაწილეობდა. როგორც წინა ტურნირებში, ამჯერადაც მძიმე წონაში (+ 84 კგ) მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გოგიტა არქანია გამოირჩა. სტარტზე მან მინიმალური ანგარიშით პოლონელ მაჩეია გეპკას სძლია (1:0), შემდეგ ჟარკო არსოვსკი (მაკედონია, 4:1) და ტარეგ ჰამედი (საუდის არაბეთი, 5:2) დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში ჩილელ როდრიგო როხასს დაუზავდა — 0:0. მსაჯებმა უპირატესობა ჩვენებურს მისცეს და არქანიაც ფინალში გავიდა, სადაც საოლიმპიადე ოთხეულში მოსახვედრად მთავარ კონკურენტ ჯონათან ჰორნეს (გერმანია) დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელმაც ნახევარფინალური პაექრობა ეგვიპტელ ტარეკ ტაჰა მაჰმუდთან ფრედ დაასრულა — 1:1 და გადამწყვეტმა შეხვედრამაც უძლიერესი ვერ გამოავლინა — 1:1, მსაჯებმა გამარჯვება უფრო აქტიურ ჰორნეს მიაკუთვნეს. ქართველი სპორტსმენი „ვერცხლს“ დასჯერდა. მესამე ადგილებზე ნახევარფინალისტები ვერ გავიდნენ — ბრინჯაოს მედლები ჟაკვუ ნილსონსა (საფრანგეთი) და ტარეგ ჰამედს (საუდის არაბეთი) ერგოთ, რომლებმაც, შესაბამისად, ტარეკ მაჰმუდი (6:4) და როდრიგო როხასი (7:0) დაჯაბნეს.

67 კილოგრამ წონით კატეგორიაში დავით პატარიძემ სტარტზე ანდრეს დელგადო მადეირას (ვენესუელა, 1:0) მოუგო, ათან დროსტასს (ავსტრალია, 0:0) დაუზავდა, მაგრამ აქტიურობის ხარჯზე გავიდა შემდეგ ეტაპზე. მესამე წრეში ირანელ ამირ მეჰდიზადეხთან აგებდა ორთაბრძოლას — 1:4, მაგრამ აზიელი მსაჯებმა ჯარიმების გამო მოხსნეს შეჯიბრებიდან. მეოთხედფინალში პატარიძე ტაილანდელ სუპასთან დამარცხდა და უმედლოდ დარჩა.

60 კილოში ძალებს დავით ტყებუჩავა ცდიდა, რომელმაც ბრაზილიელი რაფაელ მასკიმენტო კი ჩამოიშორა გზიდან (4:1), მაგრამ ალეხანდრო ორტიზ ფერნანდესს (ესპანეთი, 0:9) ვერ გაუმკლავდა და ბრძოლას გამოეთიშა.

ახლა კი იმ მნიშვნელოვანზე, რაც ყველაზე მეტად აინტერესებს ქართველ გულშემატკივარს. შეგახსენებთ, რომ ტოკიოს ოლიმპიადაზე წლეულს პირველად გათამაშდება მედლები კარატეში. ქალთა (55 კგ, 61 კგ და +61 კგ) და ვაჟთა (67 კგ, 75 კგ და +75 კგ) შორის თითოეულ წონაში 10-10 სპორტსმენი იასპარეზებს. ვაჟთა მძიმე წონაში 84 და +84 კილოგრამი წონითი კატეგორიების საუკეთესო სპორტსმენები იბრძოლებენ ჯილდოებისთვის. კარატეს საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, თითოეულ წონაში 4-4 ლიცენზიატი რეიტინგით გაირკვევა. მძიმე წონაში (+75 კგ) ორ-ორ საგზურს მიიღებენ 84 და +84 კილოში ყველაზე მეტი სარეიტინგო ქულების მქონენი. დღევანდელი მონაცემებით გოგიტა არქანია საოლიმპიადე კლასიფიკაციის საუკეთესო ხუთეულშია, ოღონდ მას ორი ირანელი უსწრებს, დებულებით კი იაპონიაში ქვეყნიდან მხოლოდ თითო სპორტსმენი გაემგზავრება.

გაგაცნობთ სარეიტინგო მონაცემებს: 1. უგურ აქთაში (თურქეთი, 9382.5), 2. ზაბიოლახ პურშაბი (ირანი, 8775), 3. საჯად განჯზადეხი (ირანი, 8287.5), 4. ჯონათან ჰორნე (გერმანია, 8032.5), 5. გოგიტა არქანია (საქართველო, 6510), 6. ივან კვესიჩი (ხორვატეთი, 6337.5).

— მსოფლიოს კარატეში დიდი კონკურენციაა, რადგან სპორტის ამ სახეობაში 100 მილიონამდე ადამიანი ვარჯიშობს, — გვითხრა საქართველოს კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა ბასილიამ.** — გოგიტა არქანია ბოლო რამდენიმე წელიწადია, ყველაფერს აკეთებს ოლიმპიური თამაშების საგზურის მოსაპოვებლად და მიზანთანაც ახლოსაა, რომ საკვალიფიკაციო ტურნირის გაუვლელად მოხვდეს ტოკიოში. მართალია, 36 წლისაა, მაგრამ დიდი რესურსი აქვს. შეჯიბრებებზე მეტოქეებსაც კი მოსწონთ მისი ცერული — ქართული ჭიდაობის ეფექტური ფანდი, რომლის საწინააღმდეგოდ კონტრილეთი კონკურენტებმა ჯერჯერობით ვერ დაუპირისპირეს. მისი მონდომება და შრომისმოყვარეობა მართლაც გმირობის ტოლფასია. გაუთვალისწინებელი რამ თუ არაფერი მოხდა, აპრილის პირველ რიცხვებში გოგიტა უკვე ლიცენზიატი იქნება. მანამდე კიდევ სამი ურთულესი შეჯიბრება ელის. ორ დღეში ავსტრიას მივაშურებთ — ზალცბურგში 28-29 თებერვალს მსოფლიოს ლიგის პირველობა გაიმართება. მსგავს შეჯიბრებას 15-16 მარტს მაროკო უმასპინძლებს, ხოლო აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში მარტის მიწურულს ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება. ვიმედოვნებთ, რომ ქართველი კარატისტები და, უპირველესად, გოგიტა არქანია ამ პაექრობებშც გვასახელებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ ვითარება

ჩინეთის დიდი პრიზი კორონავირუსის გამო გადაიდო

ჩინეთის დიდი პრიზი, რომელიც 2020 წლის სეზონის კალენდრის შესაბამისად, აპრილში, შანჰაის საერთაშორისო ტრეკზე უნდა გამართულიყო, კორონავირუსის ეპიდემიის გამო გადაიდო.

ჩინური ეტაპი კალენდარში რიგით მეოთხეა და, თითქოს, მანამდე დიდი დროა, მაგრამ ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობამ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციასთან (FIA), შანჰაის ტრეკის ადმინისტრაციასთან და ჩინეთის დიდი პრიზის პრომოუტერთან შეთანხმებით, რბოლის გადადების გადაწყვეტილება მიიღო. ამასთან, ჯერ უცნობია, საერთოდ გაიმართება თუ არა ამ სეზონში ეს ეტაპი.



კორონავირუსი სულ უფრო ფართო მასშტაბს ღებულობს, მისი მსხვერპლის და ინფიცირებულთა რიცხვი მუდმივად იზრდება, ვირუსის სამკურნალო ვაქცინა კი ჯერ შემუშავებული არ არის და რომც შეიქმნას, წარმოების დაწყებას დრო დასჭირდება. დიდი ალბათობით, ჩინური ეტაპისთვის (19 აპრილი) მედიკოსებს მკურნალობის ეფექტური საშუალება ჯერაც არ ექნებათ, ამიტომ რბოლის გამართვა, რომელსაც ათიათასობით მაყურებელი ესწრება, მონაწილეთა და ფანების სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის, რისი დაშვებაც არც ფ1-ის ხელმძღვანელობას სურს, არც FIA-ს და არც რბოლის ორგანიზატორებს.

უფრო მეტიც, ეპიდემიის მეზობელ ქვეყნებში გავრცელების შემთხვევაში საფრთხის ქვეშ ვიეტნამის სადებიუტო დიდი პრიზის გამართვაც დადგება.

კობა კობახიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა

გულშემატკივართაგან ხშირად გვესმის, რა ეშველება ფეხბურთს, როცა კარიერას მესი და რონალდუ დაასრულებენ.

პესიმისტთა დასამშვიდებლად ვიტყვით, რომ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობა დაობლებას პელეს, მარადონას, კრუიფის, დი სტეფანოს, ბეკენბაუერის, ეუსებიოსა და სხვა კორიფეების ეპოქათა ფინიშის შემდეგ გადაურჩა, ასე რომ, ვარსკვლავები მომავალშიც განსაზღვრავენ ფეხბურთის მარადიულობას.

ცის კაბადონზე ერთ-ერთი უკვე რომ აციაფდა, ნორვეგიელი ჭაბუკი ერლინგ ჰაალანდი ადასტურებს, რომელსაც გოლი გოლზე გაქვს და მეკარეთა ნამდვილ რისხვად იქცა.

„ზალცბურგში“ დაფრთიანებულმა ბარტყმა ამჯერად „დორტმუნდის“ მაისურით გაიბრწყინა და „პარი სენ-ჟერმენთან“ შესრულებული დუბლით პარტნიორებს ბევრისთვის სენსაციური გამარჯვება მოუტანა — 2:1 (სტუმართაგან მბაპეს ძალისხმევით ნეიმარმა იყოჩაღა).

აღსანიშნავია, რომ ვიკინგების შთამომავალი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ერთ სეზონში ბურთები ერთბაშად ორი გუნდის — ამ შემთხვევაში ავსტრიულისა და გერმანულის შემადგენლობაში გაიტანა.

პლეი-ოფის ამავე ეტაპზე უმნიშვნელოვანესი ამბავი მოხდა მადრიდშიც, სადაც წლეულს აქამდე წაუგებელი მოქმედი გვირგვინოსანი „ლივერპული“ „ატლეტიკომ“ 1:0 დაამარცხა (საული).

რამდენად საკმარისი აღმოჩნდება ბუნდესლიგისა და ესპანური კლუბებისთვის საკუთარ მინდვრებზე მოპოვებული მინიმალური უპირატესობა, საპასუხო რაუნდი გვიჩვენებს, რომელიც 11 მარტს გაიმართება.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

ნეით მაკმილანი: გოგა ბითაძეს გამორჩეული საკალათბურთო ინტელექტი აქვს

„ინდიანა პეისერზის“ მთავარმა მწვრთნელმა ნეით მაკმილანმა ქართველი ცენტრის გოგა ბითაძის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ის ნბა-ში კარგი მოთამაშე გახდება.

„გოგას მაღალი საკალათბურთო ინტელექტი აქვს და კარგი საკალათბურთო უნარებით გამოირჩევა. მას დრო სჭირდება და ის ნბა-ში კარგი მოთამაშე გახდება“ — განაცხადა მაკმილანმა.

გოგამ მიმდინარე სეზონში 50 შეხვედრაში მიიღი მონაწილეობა და საშუალოდ ერთ მატჩში 3 ქულას, 2.1 მოხსნას და 0.5 შედეგიან გადაცემას აგროვებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კიდევ ერთხელ

ამ დროთა ქარტეხილში შეიძლება ბევრს მიავიწყდა ბელგიელი მოდელი რაფაელა ფიკო, რომელიც ერთ დროს უპოპულარულეს იტალიელ ფეხბურთელს მარიო ბალოტელის ეფანცქვალებოდა და ეს ხვანხვალი საბოლოოდ რაფაელას მუცლის გაბერვითა და პატარა მარიოს გაჩენით დასრულდა.

ამის შემდეგ გვარიანი დრო გავიდა და ათასმა წყალმა ჩაიარა. რაფაელა მარიოს თანაყოფისთანავე უმალ დაშორდა და მაგრადაც ეჩხუბა. მერე შვილზე მამობის უფლება ბალოტელიმ მაინც მოიპოვა, მერე ისევ იჩხუბეს და იყო ასე დიდი გაწამაწია და წყევლა-კრულვა ბელგიურ-იტალიურ ენებზე.

ახლა მარიო ბალოტელი აპენინელ ჟურნალისტებს უმხელს, რომ ნანობს თავის უწინდელ სიგიჟეს და სურვილიც კი ჰქონდა რაფაელას შერიგებოდა. გერლფრენდყოფილმა ეს შეთავაზება შორს დაიჭირა და მხოლოდ ხანდახან შვილის ნახვაზე დათანხმდა. აწი ვიღას უნდა მობერებული და მივიწყებული „სუპერ“ მარიო...

ბეჟან დოლიძე

პირველი ქართველი ავიატორის დაუჯერებელი ისტორია...

პირველ ქართველ ავიატორს **ბესარიონ ქებურიას** 15 თებერვალს 150 წლის იუბილე შეუსრულდა. ფრენები საბურთალოს გორაკებზე, სწავლა პარიზის საფრენ სკოლაში, კატასტროფა შავ ზღვაზე და სხვა ისტორიები, რომელიც ცოტა ადამიანმა თუ იცის.

„ბილეთებს ყიდდნენ და ხალხიც უყურებდა, როგორ დაფრინავდა დიდი ჩიტი ცაში, თან დრაკონივით ცეცხლს აფრქვევდა“, — ამბობს ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე **ზაურ ჯალაღონია.**

ბესარიონ ქებურია ჩხოროწყუში დაიბადა, გლეხის ოჯახში. ჯერ ბავშვი იყო, როცა მეჯოგეებს ფოთში გაჰყვა და ისე მოიხიბლა მატარებლით, რომ რკინიგზის მშენებლობაზე სამუშაოდ დარჩენა გადაწყვიტა. მოგვიანებით ბესარიონ ქებურია პეტერბურგის საგზაო-საინჟინრო სასწავლებელს დაამთავრებს და მალევე ჩაუყრის საფუძველს ქართულ ავიაციას.

1908 წელს, როცა პლანერი თავისი ხელით გააკეთა, საბურთალოს გორაკებზე ვარჯიშობდა. 200-მეტრიანი ნახტომები გამოსდიოდა, მაგრამ უფრო დიდი მანძილისთვის ძრავა იყო საჭირო.

1909 წელს, როცა ფრანგმა ავიატორმა ლუი ბლერიომ საკუთარი კონსტრუქციის მონოპლანით ლა-მანშის სრუტეს გადაუფრინა, შთაგონებულმა ბესარიონმა, თუ რამე ჰქონდა გაყიდა და პარიზის საფრენოსნო სკოლაში ჩააბარა. მალე ის პირველი ლიცენზირებული მფრინავი გახდა საქართველოში.

მფრინავის შვილიშვილი გიორგი ქებურია იხსენებს, რომ ერთხელ, ფრენისას, ბესარიონი ზღვაში ჩავარდა. მიუხედავად იმისა, რომ იხრჩობოდა, ძრავისთვის ხელი მაინც არ გაუშვია — იცოდა ხელმეორედ შეძენას ვეღარ გასწვდებოდა.

„თვითმფრინავს ისევ ააწყობდა თავისი ხელით, მაგრამ ძრავას საფრანგეთიდან იწერდა ხოლმე. ძვირი იყო, ამიტომ მუხლებით ეჭირა ზღვაში. ერთხელ ისეც მოხდა, რომ მუშტაიდის თავზე გაუჩერდა ძრავი. ორი ხე დაინახა და მათ შორის გაჭედა თვითმფრინავი“, — ამბობს გიორგი ქებურია.

პირველი თვითმფრინავები მსუბუქი და მარტივი კონსტრუქციის იყო. ქარიან ამინდში ადვილად ყირავდებოდა და პილოტსაც ხშირად უხდებოდა დაბეჟილობისა თუ მოტეხილობის მკურნალობა. აქ გამოადგა დედის ეკატერინე ჯობავას ხელობა, რომელმაც სახალხო მედიცინა იცოდა და შვილსაც შეასწავლა.



ბესარიონ ქებურიას ხელმძღვანელობით აშენდა პირველი აეროდრომები თბილისში, ბაქოში, სოხუმში, ბათუმში, დაიგეგმა საჰაერო ტრასები (ბაქო-თბილისი-სოხუმი-სოჭი-მოსკოვი, ბაქო-თბილისი-ქუთაისი-სოხუმი). 50-იან წლებში ჩხოროწყუში რომ დაბრუნდა, ერთი აეროდრომი იქაც გახსნა. თბილისი-ჩხოროწყუსა და ქუთაისი-ჩხოროწყუს რეისებზე ე. წ. „კუკურუზნიკები“ დაფრინავდა, მაგრამ კომერციულად მომგებიანი არ იყო და ფრენებიც შეწყდა.

„საზღვარგარეთ ავიაციის მუზეუმში ტურისტს შეუძლია, შეუკვეთოს და იქვე შემოუფრინოს არემარეს. ჩხოროწყუში პატარა თვითმფრინავით, ან ვერტმფრენით რომ აფრინდეს ტურისტი, იქ საოცარი ხედებია: ლებარდე, ოცინდალე... შეიძლება, ეს ადგილი ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველი გახდეს“, — ამბობს გიორგი ქებურია, რომელიც დარდობს, რომ მუზეუმისთვის ფული დღემდე ვერ მოძებნა.

დღემდე ვერც ის მოხერხდა, რომ ადგილი შეეცვალათ ბესარიონ ქებურიას ძეგლისთვის, რომელიც ძველი აეროპორტის წინ დგას. მას შემდეგ, რაც აეროპორტი გადაიტანეს, ძეგლი ტრიალ მინდორში დარჩა!

თეა თოფურია

სანთელი

ავთანდილ ჭარბაძე



არიან ადამიანები, რომლებიც განვლილი ცხოვრებით წარუშლელ კვალს ტოვებენ. სწორედ ასეთ პიროვნებად ითვლებოდა ჩვენი მეგობარი ავთანდილ ჭარბაძე, რომელიც მოულოდნელად 66 წლის ასაკში გამოგვაკლდა. ამ დღეებში თავისი გარდაცვლილი დის სულს მოეფერა, ორმოცზე ყველა ახლობელი შეგვკრიბა და... თითქოს გამოგვემშვიდობა. კაცთმოყვარე ადამიანი გახლდათ ავთანდილი. წარმოუდგენელია, როდესაც მასზე წარსულში გვიწევს საუბარი. „პლეხანოველი“, ძირძველი ქალაქელი... 24-ე სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, მოსკოვში — ასპირანტურა. ყოველთვის მზად იყო, ყველას გვერდში დასდგომოდა. ცნობილ ავბედით წლებში მასაც დაუმსახურებლად ატკინეს გული, თუმცა კაცურად დასძლია ყოველივე. გულმხურვალედ გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას მიმდინარე მოვლენებისადმი, ქვეყნის სიკეთე უხაროდა და სატკივარი სტკიოდა. დატოვა შესანიშნავი ოჯახი, არაჩვეულებრივი შვილები და შვილიშვილები, სანათესაო და დიდი სამეგობრო.

ღმერთმა აცხონოს ავთო ჭარბაძის სული.

მეგობრები

პანაშვიდი 20, 21 II, გამოსვენება 22 II, 15 სთ. თევდორე მღვდლის 3 (ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩა), I სადარბაზო, მე-6 სართული.

ა(ა)იპ „საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის“ წევრთა საერთო კრება (ყრილობა)

2020 წლის 5 მარტს 10:00 საათზე ქ.ფოთში, წმინდა ნინოს ქ. № 6, ქ.ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების საკონფერენციო დარბაზში გაიმართება საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის წევრთა ყრილობა.

დღის წესრიგი:

1. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა.
2. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის არჩევა.
3. ფედერაციის გამგეობის წევრების არჩევა.
4. 2020 წლის სპორტ. ღონისძიებათა კალენდარული გეგმის განხილვა.

ტვირთების რაოდენობით ფოთის საზღვაო ნავსადგური ლიდერობს

2019 წელს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებმა და საზღვაო ტერმინალებმა 17.2 მლნ ტონა ტვირთი გადაამუშავეს, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 2.1 მლნ ტონით აღემატება.

ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, გასულ წელს გაიზარდა ნავსადგურებში კონტეინერების გადამუშავების მაჩვენებელიც. კერძოდ, 2019 წელს საზღვაო ნავსადგურებმა 647 816 ერთეული კონტეინერი გადაამუშავა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 193 878 ერთეულით აღემატება.

გადამუშავებული ტვირთების მოცულობით ფოთის ნავსადგური ლიდერობს, რომელმაც გასულ წელს 8.6 მლნ ტონა ტვირთი გადაამუშავა, მეორე ადგილზეა სუფსის საზღვაო ტერმინალი, რომელიც 2019 წელს 3.7 მლნ ტონა ტვირთს მოემსახურა. 3.2 მლნ ტონა ტვირთი გადაამუშავა გასულ წელს ბათუმის ნავსადგურმა, 1.6 მლნ ტონა კი — ყულევის ტერმინალმა.

ჯამურად, ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, გასულ წელს სატრანსპორტო დარგებმა 42.3 მლნ ტონა ტვირთი გადაზიდეს, რაც 2018 წლის მონაცემს მხოლოდ 0.2 მლნ ტონით აღემატება.

სატრანსპორტო დარგებიდან, გადაზიდული ტვირთების მოცულობით, საავტომობილო ტრანსპორტი ლიდერობს, რომელიც 2019 წელს 31.4 მლნ ტონა ტვირთს მოემსახურა. მეორე პოზიციას ამ მიმართულებით სამოქალაქო ავიაცია იკავებს. სამოქალაქო ავიაციით, 2019 წელს 24.9 მლნ ტონა ტვირთი გადაზიდეს, 10.9 მლნ ტონა ტვირთს კი რკინიგზა მოემსახურა.

ისნის რაიონში ახალი გზის მშენებლობა დასრულდა

თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურმა ისნის რაიონში ახალი გზის მშენებლობა დაასრულა, რომელიც დავითაიას ქუჩას და მერვე ლეგიონის დასახლებასთან მდებარე, მთისძირის ქუჩას აკავშირებს. დასრულებული სამუშაოები დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში, სანიაღვრე ქსელი, გვერდმიმღებები და ხელოვნური ნაგებობები მოეწყო, ასევე დამონტაჟდა გარე განათების ქსელი. დასრულდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სასწავლო ცენტრისა და მისი პარკინგისკენ მიმავალი გზა და უჩაკოვის ქუჩის მონაკვეთი.

რეაბილიტაციამდე მონაკვეთზე გრუნტის ვიწრო გზა იყო, რომლით სარგებლობაც არაკომფორტული იყო. რეაბილიტაციის შედეგად გამარტივდება საავტომობილო მიმოსვლა კახეთის გზატკეცილსა და თბილისის ზღვაზე.

სამშენებლო სამუშაოები თბილისის მერიის კონტრაქტორმა კომპანიამ „ბლექ სი ჯგუფმა“ აწარმოა. ახალი გზის მშენებლობაზე 2 700 000 ლარამდე დაიხარჯა.

ანატოლიის ჰანგები

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში დიდი წარმატება ხვდა წილად თურქული ეთნო-ჯაზის კონცერტს, რომელიც Burcu Karadag-მა და მისმა მეგობრებმა წარმოადგინეს.

ეთნიკური მუსიკისა და ჯაზის შერწყმით გაჩენილი ეთნიკური ჯაზი კვლავ აგრძელებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის საერთო ფასეულობების პოპულარიზაციას.

Burcu Karadag ნეის მომაჯადოებელი ხმის, პიანინოს, დრამის, ბალაბანისა და კონტრაბასის შერწყმით მსმენელს მუსიკალურ ექსპერიმენტზე იწვევს.

ანატოლიის ჰანგები დასავლეთის ჯაზთან ჰარმონიაში მოჰყავთ Burcu Karadag-ს, რომელიც როგორც თურქეთში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარულია. იგი პროფესიულ დონეზე ნეის შემსრულებელი ერთადერთი ქალი არტისტია, ასევე ახალგაზრდა აზერბაიჯანელ პიანისტ ეთიბარ ასადლს, რომელიც მუსიკის სფეროში მოღვაწეობას პარიზში აგრძელებს, დრამერს, კავკასიის **სდუნთქვას ექინ ჯეზგიზქანს,** ბალაბანისა და თუთექის (ჩასაბერი საკრავები) ოსტატ **ალფსარ რაჰიმოვსა** და ელექტრობასში პარიზის მბრწყინავ ვარსკვლავს **პიერ თომას ფრიდომს.**

კონცერტს დაესწრო თურქეთის ელჩი **ფატმა სერენ იაზგანი,** რომელმაც სამახსოვრო საჩუქარი ბროწეულის ფორმის ძვირფასი სამკაული გადასცა Burku Karadag-ს და აღნიშნა, რომ ის ხშირად და სიამოვნებით უსმენს Burku-ს კომპოზიციას სახელწოდებით „ბროწეული“.

ოპერაციის დროს ვიოლინოზე უკრავდა

53 წლის მევიოლინე ქალი დაგმარ ტერნერი უკრავდა თავისი ტვინის ოპერაციის მიმდინარეობის დროს, იმისთვის, რომ ქირურგებს მისი ტვინის ის ნაწილი არ დაეზიანებინათ, რომელიც მუსიკაზე აგებს პასუხს.

პაციენტს ტვინის სიმსივნის მოშორება ესაჭიროებოდა. ექიმებმა ქალს ურჩიეს, რომ ოპერაციის მიმდინარეობის დროს გაღვიძებდნენ, რათა მას ვიოლინოზე დაეკრა. ამის საშუალებით ექიმები მარცხენა ხელის ფუნქციობის გაკონტროლებას შეძლებდნენ. მედიკოსთა ჯგუფმა პაციენტის ტვინი ოპერაციამდე მონიშნა, რომ გაეგო თუ ტვინის რომელი ნაწილები მუშაობს დაკვრის პროცესში.

ლეკვისა და მტრედის უჩვეულო მეგობრობის ისტორია

აშშ-ში ძაღლი, რომელიც ვერ დადის, დაუმეგობრდა მტრედს, რომელიც ვერ დაფრინავს.

2020 წლის იანვარში ჩიხუახუას ჯიშის ლეკვი ლანდი ქალაქ როჩესტერის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მოხვდა, რომელიც თანდაყოლილი გადახრების მქონე ცხოველებზე ზრუნავს. ლეკვის უკანა თათები არ ფუნქციონირებს. მალე ორგანიზაციაში მოხვდა მტრედი სახელად გერმანი, რომელიც ვერ დაფრინავს.

გერმანმა და ლანდიმ საერთო ენა სწრაფად იპოვეს და მთელ დღეებს ერთმანეთთან ჩახუტებულები ატარებენ. მათი მეგობრობის ისტორია სოციალურ ქსელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.



კრიშტიანუ რონალდუ საცოლეს ანებივრებს

ტურინის „იუვენტუსის“ პორტუგალიელი ფორვარდი კრიშტიანუ რონალდუ ყოველთვიური ხარჯებისთვის თავის საცოლეს ჯორჯინა როდრიგესს 96 ათას ევროს აძლევს.

35 წლის ფეხბურთელის საცოლე ამ ფულის ნაწილს რონალდუს სამ შვილზე და მათ საერთო ქალიშვილზე ალანა მარტინაზე ხარჯავს.

რონალდუ იტალიის ჩემპიონატის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. მისი წლიური ხელფასი 31 მილიონი ევროა. „იუვენტუსში“ რონალდუ 2018 წლის ზაფხულში მადრიდის „რეალიდან“ გადავიდა. ტურინელებმა მის სანაცვლოდ 100 მილიონი ევრო გადაიხადეს.

ნეანდერტალელის პირველი ჩონჩხი

არქეოლოგებმა ბოლო 10 წლის განმავლობაში ნეანდერტალელის პირველი ჩონჩხის ფრაგმენტი იპოვეს, რომლის ძვლებიც ერთმანეთთან არის შეერთებული.



აღმოჩენა ერაყში, ცნობილ შანიდარის გამოქვაბულში გაკეთდა. შანიდარში გათხრებს ჯერ კიდევ 1950-იან წლებში აწარმოებდნენ. მაშინ სპეციალისტებმა 10 ნეანდერტალელის ნეშტი აღმოაჩინეს. ერთ-ერთს თითებზე ყვავილების მტვრის ნაკვალევი აღმოაჩნდა, რის გამოც მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ნეანდერტალელები დაკრძალვის რიტუალში ყვავილებს იყენებდნენ.

ახალ ჩონჩხს არქეოლოგებმა შანიდარ Z დაარქვეს. მისი ასაკი 70 ათას წელს შეადგენს. ჩონჩხი შუახნის ან უფრო ასაკოვან სუბიექტს ეკუთვნის, თუმცა მეცნიერებმა მისი სქესი ჯერ არ იციან. სპეციალისტებმა გამოქვაბულში მხოლოდ ჩონჩხის ზედა ნაწილი ნახეს. მათ იმედი აქვთ, რომ მისი იდეალური მდგომარეობიდან გამომდინარე ნეანდერტალელების დაკრძალვის რიტუალების შესახებ უფრო მეტს გაიგებენ. ახლა ძვლებს კემბრიჯის უნივერსიტეტის სპეციალისტები სწავლობენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8631; ევრო - 3.1010;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7321;
100 რუბლი - 4.4902; თურქული ლირა - 0.4722;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6884;
1000 სომხური დრამი - 5.9775.

ამინდი 20 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	-1,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge